# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 169 (6027)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ისევ სამეგრელოს შესახებ 3

ბოლო დღეებში მე არ ვიცი, კიდევ რა ჭორები გავრცელდა, მაგრამ სამეგრელოს მკვიდრებმა საშობლო, როგორც ყოველთვის, თავიანთი მოთმინებით, ერთგულებით კიდევ ერთხელ ასახელებს...

## რუსული საერთოდივერსიო მანქანა სვლას უმატებს!



ერთი შეკითხვა „ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს“, ნოემბრის მოვლენების დროს გაერთიანებული ოპოზიციის საბჭოს წევრს, შემდეგ ოპოზიციის რიგებიდან მუხანათურად გამოყოფილ და სხვაგან თავშეყოფილ, ამჟამად პარლამენტის წევრს ოპოზიციონერის სტატუსით, მოქალაქე ჯონდი ბაღათურიას 4

## რუსები პროკლამაციებს ავრცელებენ 11

## რატომ არ გაიცილა აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტი? 2

## ქართველებო, გონს მოვეგოთ! 7



## მარტ ლაარი: 5

## ერთ წელიწადში, თუ ყველაფერი კარგად იქნება, იტყვიან, რომ ქართველი ხალხი უნიკალურია, მან რუსული აგრესიის შეჩერება შეძლო

# სდეგ, RUSSIA!




რუს ჯარისკაცს, სადაც კი თავის სალდათურ ჩექმას დადგამს, იქაურობა სამუდამოდ თავისი საკუთრება ჰგონია: მოიკიდებს ფეხს, შემორაგვავს იქაურობას და მკაცრ ბრძანებებსაც გამოაკრავს.

ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ეგონათ, დიდხანს დარჩებოდნენ და ნაუცბათევად გაკეთებულ ბლოკ-საგუშაგოებზე რუსულ-ქართულენოვანი გამაფრთხილებელი წარწერებიც გააკეთეს.

ერთი კია, რუს ოკუპანტებს აქ მრავალწლიანი „მოღვაწეობის“ წყალობით ქართულიც მოუჩიქორთულებიათ — „სამშვიდობო ძალა! სდეგ! აგრძალური ზონა“.

შეცდომები კი დაუშვიათ, მაგრამ ერთი ჩვენი დიდმოხელის ფონზე, სიტყვა ბავშვი რომ ვერ დაუწერია სწორად, ვერაფერს დაუწუნებ.

იმასაც ამბობენ, სამეგრელოში ლათინური შრიფტით დაწერილ მეგრულ მოწოდებებსაც მშვენივრად კითხულობენო, თუნდაც ასეთებს — „PUTIN! SKAN DIDA PXODI!“

თავს ზევით ძალა არაა: რუსი როცა გაფრთხილებს, სანამ ევროსაბჭო დაგიდგება გვერდით, უნდა დაუჯერო და „სდეგ!“ გააკეთო!

მამუკა ვაშაკიძე.

# ნიკოლა სარკოზი: 15 ოქტომბერს საქართველოში არც ერთი რუსი ჯარისკაცი აღარ უნდა იყოს

ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთმა აიღო ვალდებულება, რომ 15 ოქტომბრისთვის საქართველოში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ უნდა იყოს.

სარკოზი იმედოვნებს, რომ რუსეთი აღნიშნულ შეთანხმებას არ დაარღვევს, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდება, „საქმე სულ სხვაგვარად იქნება“.

სარკოზის განცხადებით, მნიშვნელოვანია ასევე ის შეთანხმება, რომელიც საქართველოდან რუსული ჯარის გასვლას მოჰყვება. საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლები შემოვლენ და რაც მნიშვნელოვანია, სარკოზიმ აღნიშნა, რომ დამკვირვებლები განთავსდებიან არა მარტო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის აღიარებული. რაც იმას გულისხმობს, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები შევლენ როგორც აფხაზეთის, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე.



სარკოზის თქმით, ოსეთსა და აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლები აუცილებლად ჩავლენ, ვინაიდან „ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც ორი დღის წინ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდნენ, სამშვიდობო მისია შეასრულონ“.

სარკოზიმ ასევე განაცხადა, რომ დამკვირვებლები იმ პროცესებსაც მიადევნებენ თვალს, თუ რა ინტენსივობით უბრუნდებიან დევნილები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

სარკოზიმ ხაზგასმით აღნიშნა ასევე, რომ აქ საუბარია არა მხოლოდ იმ დევნილებზე, რომლებიც ბოლო შეიარაღებული დაპირისპირების დროს იქნენ გამოძევებული საკუთარი სახლებიდან, არამედ 1992 წელს საკუთარი ოჯახებიდან გამოყრილ ადამიანებზე.

რაც შეეხება რუსეთთან მიღწეულ შეთანხმებებს სარკოზიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირის მიერ რუსეთთან მიღწეული შეთანხმება ბრწყინვალე შედეგი არ არის, თუმცა ეს არის ის, რისი მოხერხებაც ამ ეტაპზე იყო შესაძლებელი

სარკოზის განცხადებით, სამუშაო, რომელიც საფრანგეთმა, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, ამ ორგანიზაციასთან ერთად შეასრულა, ნელი ნაბიჯებით მიიწევს წინ, თუმცა შედეგი აშკარად სახეზეა.

მისივე შეფასებით, ეს არ არის ბრწყინვალე შედეგი, თუმცა, მისივე შეფასებით, გამონათება სახეზეა და შედეგი აშკარად არ აყოვნებს.

ევროკავშირი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას განუხრელად უჭერს მხარს, — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, მოსკოვში ხავიერ სოლანამ, ჟოზე მანუელ ბაროზომ, ბერნარ კუშნერმა ერთხმად დაგმეს რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი.

გაეროს მიერ აღიარებული დამოუკიდებელი ქვეყნის საზღვრების გადახედვა არავის საქმე არ არის. ამიტომ, ჩვენ კიდევ ერთხელ მკაცრად დავგმეთ ის ცალმხრივი აღიარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის მხრიდან, — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ.

მისივე შეფასებით, ევროპამ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის გარშემო გაერთიანება და ერთიანი პოზიციით ბრძოლა მოახდინა, რამაც ომის შემდგომი გაგრძელება აიცილა თავიდან.

მისივე თქმით, ახალი „ცივი ომი“ რუსეთთან არავის უნდა. „ცივი ომის“ მდგომარეობაში მსოფლიო უკვე იმყოფებოდა და ამ მდგომარეობას კარგი არავისთვის არ მოუტანია.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა აიღო ვალდებულება არ გამოიყენოს ძალა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, მან მოსკოვში გარანტიის სახით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერილი წერილი ჩაიტანა, სადაც დაფიქსირებულია, რომ საქართველო იღებს ვალდებულებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმაც განაცხადა, რომ მოსკოვმა მიიღო გარანტიები იმისა, რომ თბილისი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს. ამ პირობის შესრულების გარანტი კი, მედვედევის განცხადებით ევროკავშირი და მისი პრეზიდენტი ქვეყანა — საფრანგეთია.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს გაუმართლა, რომ ევროკავშირის თავმჯდომარე არის საფრანგეთი, ხოლო მისი პრეზიდენტი არის მამაცი ადამიანი

ასეთი განცხადებით დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა პრესკონფერენცია, რომელიც პრეზიდენტების ნიკოლა სარკოზისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩატარდა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, შეხვედრაზე დეტალურად იყო განხილული ხელმოწერილი შეთანხმების ყველა დეტალი და პრინციპი.

როგორც სააკაშვილმა შეაფასა, არის წინგადადგმული ნაბიჯი ამ ხელშეკრულების შესრულების თვალსაზრისით და რუსეთს აღებული აქვს ვალდებულება, რომ პირველ ეტაპზე გაიყვანოს უსაფრთხოების ზონიდან თავისი შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც პრეზიდენტის განცხადებით, არანაირად არ არიან სამშვიდობო ჯარები და არიან რუსეთის საოკუპაციო ნაწილები.

მისივე განცხადებით, 6-პუნქტიანი შეთანხმების თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ იმ პოზიციებზე, სადაც იმყოფებოდნენ საომარი მოქმედებების დაწყებამდე.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ამ შეთანხმების თანახმად, ევროპელი დამკვირვებლები შევლენ კონფლიქტის ზონებში და მათი მანდატი გავრცელდება კონფლიქტის ზონებზე და ამ ზონებში დაბრუნდებიან ის დევნილები, რომლებიც 1992 წლიდან არიან გამოდევნილი და მათ დღემდე არ უშვებენ საკუთარ სახლებში.

მისი თქმით, ეს პირობა დღეს ევროკავშირის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დაუდასტურა ხელმოწერით.

დღეს როგორც არასდროს, არის შესაძლებლობა, მოგვარდეს ის კონფლიქტები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა, თუმცა ამას დრო დასჭირდება, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ასევე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან გადასცა უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტაცია ევროკავშირის ლიდერებს და პრეზიდენტ სარკოზის, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს აგრესია დაიწყო რუსეთმა და სწორედ რუსეთის ჯარების შემოსვლა დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს რეაქცია იყო მხოლოდ საპასუხო რეაქცია და საქართველო იცავდა თავს.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმაღლეს დონეზე იმუშავა და არის უნიკალური მტკიცებულებები საქართველოს პოზიციის სისწორისა.

უამრავი საქმეა გასაკეთებელი, ვიდრე შეთანხმება საბოლოოდ იქნება შესრულებული და დიდი გზაა გასავლელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონში სამართლიანობის აღსადგენად, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება 12 აგვისტოს შეთანხმებას სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმების 6 პუნქტის შესრულებისკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. ამჟამად, პირველ ეტაპზე მოხდება ე.წ. უსაფრთხოების ზონიდან სრული გაყვანა ჯარებისა, — მიუხედავად უკვე მიღწეული შეთანხმებებისა, რუსულ-ქართული კონფლიქტის დარეგულირება ჯერ, მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ევროკავშირსაც და საქართველოსაც ამ პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად სერიოზული მუშაობა მოუწევთ.

საქართველო ვერასოდეს შეეგუება მისი სუვერენიტეტის ხელყოფას და არასოდეს იტყვის უარს საკუთარ ტერიტორიებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსული საოკუპაციო ჯარები არა მხოლოდ მათ მიერ შექმნილი ე.წ. ბუფერული ზონებიდან, არამედ კონფლიქტური ზონებიდანაც უნდა გავიდნენ. პრეზიდენტ სააკაშვილის განმარტებით საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის 6-პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება სწორედ ამას ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი

## მკითხველს აინტერესებს

# რატომ არ გააცილა აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტი?

**მაშინ, როდესაც ყველა მოუთმენლად ელოდა მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შედეგს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე, ერთმა ფაქტმა ყველა გააოცა — პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნიკოლა სარკოზის და ევროპის მაღალი რანგის პოლიტიკოსებს არც აეროპორტში დახვდა და არც გაუცილებია ისინი. ბუნებრივია, ბევრმა იკითხა — როგორ, ეს ადამიანები იმის ღირსი არ იყვნენ, რომ თბილისიდან პატივით გაგვეცილებინაო?...**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** განმარტავს, რომ ყველა ქვეყანას სტუმრის დახვედრისა და გაცილების პროტოკოლური სქემა აქვს. „არის ქვეყნები, სადაც პირველი პირი სადგურზე ხვდება და აცილებს სტუმრებს, იმის მიუხედავად, თუ რა რანგის სტუმარია იგი. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს თვითმფრინავის ტრაპთან ვერასდროს ნახავთ. იგი სტუმრებს ყოველთვის თეთრ სახლში იღებს... ისტორიიდან ცნობილია გამორჩეული შემთხვევა, როდესაც სტალინმა ერთხელ დაარღვია ეს წესი და იაპონიის პრემიერი რკინიგზის სადგურზე გააცილა, რადგან იგი დაითანხმა მეორე ფრონტი არ გაეხსნა. სტალინის ეს დიპლომატიური ნიუანსი ისტორიას შერჩა“...

რამაზ საყვარელიძის განმარტებით ზოგადად, ქვეყნის პრეზიდენტები თავს არიდებენ ტრაპთან დგომას და სტუმრის იქ დახვედრას...

თუმცა ისიც ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აეროპორტიდან გააცილა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ასევე — ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე პრეზიდენტი დიკ ჩეინი...

**ნატა ნიბლაძე**

## ინფორმაცია

### განმუხურსა და ხურჩაში ქართული დროშები ფრიალებს

**ზუგდიდის რაიონის სოფლებში, განმუხურსა და ხურჩაში ქართველი სამართალდამცავები გუშინ შევიდნენ.**

სოფლებიდან უკვე გავიდნენ აფხაზი ბოევიკები, თუმცა ადგილზე რჩებიან რუსი ე.წ. სამშვიდობოები. მიუხედავად ამისა, არანაირი კონფლიქტი რუსებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ განმუხურსა და ხურჩაში ქართული იურისდიქცია აღდგა.

### აფხაზეთისა და ოსეთის საკითხებზე ჟენევაში იმსჯელებენ

**აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საერთაშორისო დისკუსიები ჟენევაში 15 ოქტომბერს დაიწყება, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საფრანგეთის პრეზიდენტთან ნიკოლა სარკოზისთან და ევროკავშირის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ.**

მედვედევმა აღნიშნა, რომ დისკუსიების გამართვა 6-პუნქტიანი შეთანხმების გათვალისწინებით მოხდება.

კერძოდ, „მედვედევი-სარკოზის“ გეგმის მე-6 პუნქტში საუბარი იყო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მომავალი სტატუსის საკითხების საერთაშორისო განხილვის დაწყებაზე, ასევე ამ ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზებზე.

ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღნიშნა: თუ ჟენევაში დაიწყება საერთაშორისო განხილვა, ესე იგი არის საკითხი, რომელიც განხილვას საჭიროებს.

### ფოთსა და სენაკს ვერ თმობენ

**რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები ფოთის შესასვლელთან და სენაკის რაიონის სოფელ თეკლათთან მდებარე საგუშაგოებს კვლავ ამაგრებენ.**

რუსი სამხედროები, უკვე აგებულ უკანონო ბლოკ-პოსტებს ახალს ამატებენ და დამატებით ბარიერებსაც აგებენ.

ამავდროულად, ფოთის საგუშაგოზე დამატებითი ჯავშანტექნიკა და ცოცხალი ძალაა შეყვანილი.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

განსჯა



# „მართვადი ქაოსის“ მოლოდინში

**მოსკოვში ჩასული ევროკავშირის მისია ნამდვილად უპრეცედენტო იყო თავისი მანდატითა და შემადგენლობით. თავად განსაჯეთ: ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო; ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. ევროკავშირის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, ეს სამი ფიგურა ერთდროულად ჩაბმულიყო რაიმე პრობლემის მოგვარებაში.**

ეს ნამდვილად მეტყველებს, რომ ბოლო კრიზისს, რუსეთის მონაწილეობით, ევროპაში ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს.

იქ ვერავის მოატყუებს მოსკოვის „მოდერნიზებული პროპაგანდა“ და „ევრონიუსის“(!ძ ეთერში გასული დემაგოგია. სამწუხაროა, რომ ჩვენში „ევრონიუსის“ ბოლოდროინდელ საინფორმაციო პოლიტიკას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვა; არადა ის, რასაც ეს საერთოევროპული ტელეარხი ბოლო დროს სჩადის „ „საინფორმაციო კურტიზანობის“ კლასიკური ნიმუშია.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამდენად „სწორი“ გადაწყვეტილება მიიღო „გაზპრომმა“, როდესაც ამ ტელეარხის დაფინანსება გადაწყვიტა. არადა, ფორმალურად იგი ხომ ევროკავშირის ორგანოა?!

მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო სიუჟეტში (ყველა ევროპულ ენაზეძ ნათქვამი იყო: „საქართველო და რუსეთი ინარჩუნებენ მძლავრ სამხედრო დაჯგუფებებს შავიზღვისპირა ქალაქ ფოთში“.

ტელემაყურებლისთვის აბსოლუტურად გაუგებარი დარჩებოდა, რა არის ეს „ქალაქი ფოთი“, ვის ტერიტორიაზეა და რატომ იპყრობს იქ „მძლავრი სამხედრო დაჯგუფებების შენარჩუნება“ ევრონიუსის ყურადღებას.

არადა, საქმეც სწორედ ისაა, რომ რაკი ფოთში რუსული ჯარის ყოფნა „მედვედევ-სარკოზის“ შეთანხმებათა დარღვევის მთავარი ნიშანია, ევრონიუსის „გაზპრომის“ მიერ დანიშნულმა მენეჯერმა მიიღო დავალება, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს ფოთში რუსული და ქართული ფორმირებები როგორც მინიმუმ ერთნაირად კანონიერად ან ერთნაირად უკანონოდ იმყოფებიან.

არადა, ჯერ ერთი სად არის ფოთში „მძლავრი ქართული დაჯგუფება?“. გარდა ამისა, ფოთი ხომ ქართული ქალაქია და იქ რუსის ჯარს „კანონიერად“ ან თუნდაც „თანაბრად უკანონოდ“ რა ესაქმება?

ასეთივე პოლიტიკა ხორციელდება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის თაობაზე ცხინვალსა და სოხუმში გამართული ზეიმების გაშუქებისას „ ნაირფერი ბუშტებით და მოჟრიამულე გოგო ბიჭებით, მაშინ როდესაც საქართველოს რეაქციის ამსახველი „ვიდეორიგის“ შედგენისას მხოლოდ ზანტად და გულგრილად მოსიარულე დანაღვლიანებულ თბილისელებს და გორში დანგრეული სახლების შემხედვარე შუბლშეკრულ პრეზიდენტს სააკაშვილს უჩვენებენ – რაც შესაბამის კონტრასტს ქმნის (ასეცაა ჩაფიქრებულიძ მხიარულად მოჟრიამულე ახალგაზრდობასთან.

დავამატოთ ამას ის საოცარი ფაქტიც, რომ როგორც ამერიკის კოსმოსური სააგენტო იტყობინება, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მყოფმა რუსმა კოსმონავტმა (იგი რა თქმა უნდა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ოფიცერია, როგორც ყველა კოსმონავტიძ შესანიშნავი ამერიკული ტექნიკა იმისთვის გამოიყენა, რომ 8-9 სექტემბერს(!ძ საქართველოს ცენტრალური რეგიონების, მათ შორის ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიის ასეულობით მაღალხარისხოვანი ფოტო გადაიღო და მოსკოვში გააგზავნა.

როგორც ახლა თავად აცხადებს, საბრძოლო მოქმედებებისას რუსული ავიაციისთვის ქართულ შენაერთთა განლაგება კი არ გადაუცია, არამედ (თურმე ნუ იტყვითძ ეკოლოგიური, სამეცნიერო მოსაზრებებით იკვლევდა კავკასიის გეოტექტონიკურ მოცემულობებს (მდინარეთა შელფი, რელიეფი და სხვაძ მაინცდამაინც 8 და 9 სექტემბერს!

როგორ გგონიათ, ამ თაღლითს ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ რაიმე დააკლო? როგორ გეკადრებათ „ სადგურიდანაც არ გაუძევებიათ – „თავად უარყოფს და აბა რა ვუყოთო“.

ერთი სიტყვით, ძალაუნებურად ირწმუნებ ლიტველი დისიდენტის გამონათქვამს, რომ ევროპულ ცივილიზაციას თუ რაიმე დაღუპავს მისი (ასე ვთარგმნოთძ მთხლეობა დაღუპავს!!!

დაახლოებით იმავე დისკურსში მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროკავშირსა და რუსეთს შორის „სარკოზი-მედვედევის“ სამშვიდობო გეგმის აღსრულების თაობაზე.

ზოგადად, დიპლომატიის „ოქროს კანონია“: უდიდეს წარმატებად ითვლება, თუკი ოპონენტს მოლაპარაკებებისას შენთვის ხელსაყრელ „ამოსავალ დებულებებს“ მოახვევ თავს.

ამგვარ „ამოსავალ დებულებად“ კი რუსეთისთვის ის იქცა, რომ ფაქტობრივად მოლაპარაკება მიმდინარეობს არა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსზე, არამედ მათ გარშემო რუსეთის მიერ თვითნებურად შექმნილ ე.წ. „ბუფერულ ზონებში“ ევროპელი დამკვირვებლების განლაგებაზე და „თუნდაც აქედან მაინც“ რუსეთის ჯარის გასვლაზე.

ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას მოითხოვა სარკოზი-მედვედევის შეთანხმებიდან იმ პუნქტის ამოღება, რომლის თანახმად, „საერთაშორისო მოედნებზე“ უნდა დაწყებულიყო მსჯელობა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსზე.

იხ. 4 გვ.

გულის ბუხარი

***არსებობს რუსული დივერსიული აზრი ქართველი ერის რაობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მეგრელები არ არიან ქართველები. ამ მცდარ და სახიფათო აზრს თითქმის მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე იზიარებდა ი.სტალინიც. არ გაგიკვირდეთ, ერთადერთი, ვინც საბჭოთა კომპარტიული ელიტიდან ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ იღვწოდა, ისევ და ისევ, ლ.ბერია გახლდათ, რომლის ძალისხმევითაც მეგრელებს, აჭარლებსა და სვანებს, თუმცა ცენტრ-ნაცმენური შინაარსით, მაგრამ მაინც მიეცათ უფლება, აღდგენილიყვნენ ქართულ ვინაობაში. (1937 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შემდეგ შედგენილ „ეროვნებათა ლექსიკონში“ აჭარლები, მეგრელები, სვანები, ლაზები და ა.შ. ქართველებისაგან გამიჯნულ ეროვნებებად არიან მითითებული. ასეთი იყო ი.სტალინის თვალსაზრისი. ლ. ბერიამ 1937 წლის 16 ივნისს მისწერა შესაბამისი წერილი ი.სტალინს, რომელშიც ამ დანაშაულებრივი უზუსტობის გასწორებას ითხოვდა).***

# რუსული სამთონოდივერსიო მანქანა კი სვლას უმატებს!

## ისევ სამეგრელოს შესახებ

ქართულ პრესაში ამ ბოლო დროს ე.წ. „კოლხიდის“ (ეთნოფაბრიკაციული ორგანიზაციისძ წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილები სწორედ საბჭოთა დივერსიული სტერეოტიპების ტყვეობიდან იქნევენ მახვილს და მეგრელებს ერთგვარ სამოწყალო, ღარიბ ნათესავ წევრად მიიჩნევენ ქართულ ჭერქვეშეთში, საიდანაც ყოველგვარი ხმის ამოღება ენით უთქმელ თავხედობად აღიქმება მათთვის. ისინი არა ერისკაცის, არამედ „დერჟავნიკის“ სულისკვეთებით აწერენ ხელს ცრუ „კოლხიდის“ მესვეურთა ხმაბოდვებზე არანაკლებ დივერსიულ ყაყანს: **„მაშინ, როცა ჩვენი ქარაქუცა პოლიტიკოსები ტყემალზე სხედან და წამდაუწუმ მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით კეკლუცობენ, რუსი ტარტაროზები ყველა „დირკიდან“ გვიტევენ. აჰა, ზუგდიდში უკვე შეიქმნა რაღაც გაურკვეველი სახის ასოციაცია „კოლხიდა“, რომლის კრამიტდაცურებული მესვეურები ასეთ განცხადებას ავრცელებენ...“** დამეთანხმებით, ეს არ არის იმ კაცის დაწერილი, რომელიც სამეგრელოს მიწას იმშობლიურებს ან მეგრულ მიერთსხეულებას ისიგრძეგანებს.

არც ესაა სწორი: **„...როდესაც ცხონებულმა მურმან ლებანიძემ მეგრულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ საქვეყნოდ გაილაშქრა, მას ისეთი და იმნაირი რაღაცები აკადრეს, კაცი სამუდამო სასუფეველში გულდაწყვეტილი წავიდა. როგორც ჩანს, წერას ატანილი მოღალატეები დათმობას არ აპირებენ და სწორედ მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას საფრთხე შეექმნა, მსოფლიო საზოგადოებრიობის კიდევ ერთი გამოგონილი სისულელის შესახებ ატყობინებენ. მიაქციეთ ყურადღება ამ ჩემის თვრამეტიანებს, თორემ თუ ვერ დაგვშლიან, ნერვებს მაინც მოგვიშლიან და ახლა „ბასეინში“ წყლის ჩასხმასაც მოგვთხოვენ. არადა, აღნიშნული ცენტრის „ნაჩალნიკებს“ ერთ-ერთ ქართულ ბანკში ანგარიშიც კი გაუხსნიათ, მეგრული ენის გადასარჩენად ფინანსები სჭირდებათ“**. (გელა ზედელაშვილი, „ალია“, 2008წ.ძ

აფხაზეთ-სამეგრელოში მეგრელები პატივს მიაგებენ მ.ლებანიძის პოეზიას და განსაკუთრებით ასეთ სტრიქონებს:

**„ქართლ-კახეთად, იმერეთად,**
**სამეგრელოდ, გურიად,**
**ვისაც ჩვენი გაყოფა და**
**გათიშვა სწყურია,**
**ან ჭკვიანი მტერი არის,**
**ან უგნური მოყვარე,**
**ამიტომაც სადაც წავწვდი,**
**ერთიანად მოვთხარე“...**

იხ. 9 გვ.

ინფორმაცია

### მთვრალი აფხაზები ზუგდიდის სოფლებში დათარეშობენ



**გუშინ, გვიან ღამით ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში, ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრის სახლში მთვრალი აფხაზი სამხედროები შეიჭრნენ.**

**ისინი უმისამართოდ ისროდნენ, თან სახლს ჩხრეკდნენ და ძვირფასეულობას ეძებდნენ, თუმცა სახლში წასაღები არაფერი აღმოჩნდა.**

**გაბრაზებულმა აფხაზებმა ავეჯი დააზიანეს და დაახლოებით ერთ საათში დატოვეს ტერიტორია.**

### მეგრული ვერ ისწავლეს და ჩხოროწყუს სტოვებენ

**ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუში რუსები უკანონოდ გახსნილ ბლოკ-საგუშაგოს შლიან.**

**როგორც რაიონის გამგებელმა მერაბ შელიამ განაცხადა, რუსებმა გასვლისთვის სამზადისი გუშინ დილიდან დაიწყეს. ისინი შლიან კარვებს, ერთ ადგილზე ხდება ჯავშანტექნიკის მობილიზებაც.**

### პოლონელი ჟურნალისტები გაათავისუფლეს



**ოსური ბანდფორმირებების მიერ დატყვევებული პოლონეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის გადამღები ჯგუფი უკვე გათავისუფლებულია.**

**როგორც პოლონეთის ტელევიზიის წარმომადგენელმა დავით ლაბაძემ განაცხადა, გადამღებ ჯგუფს ჩამორთმეული აპარატურა უკვე დაუბრუნეს, მაგრამ ამ დროისთვის ავტომანქანის დაბრუნება ვერ ხერხდება, რადგან ავტომანქანის გასაღები ოს სეპარატისტებს ცხინვალში აქვთ წაღებული.**

**მისივე ინფორმაციით, პოლონელი ჟურნალისტები მანამდე დარჩებიან კარალეთში, ვიდრე ავტომანქანას არ დაუბრუნებენ.**

**პოლონელი ჟურნალისტები ოსურმა ბანდფორმირებებმა ორი დღის წინათ კარალეთში დააკავეს. წაართვეს ტელეაპარატურა, გადაღებული ვიდეომასალა, მობილური ტელეფონები და ავტომანქანა.**

**ოსმა სეპარატისტებმა მათ განუცხადეს, რომ ისინი სამხედრო ტყვეები იყვნენ.**

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## აშშ ვენესუელასა და რუსეთის წვრთნებს გააკონტროლებს

**ჯორჯ ბუშის** ადმინისტრაცია თვალ-ყურს მიადევნებს რუსეთისა და ვენესუელას ერთობლივ სამხედრო-საზღვაო წვრთნებს, რადგანაც გამოდის, რომ რუსეთში მოიძებნა რამდენიმე სამხედრო ხომალდი, რომელთაც საკმაოდ დიდი მანძილის დაფარვა შეუძლიათ.

ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა განაცხადა.

ჩვენ წვრთნებს დავაკვირდებით. მე არ მსმენია, რომ რუსებს ეს დაედასტურებინოთ, მაგრამ ვვარაუდობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს მართალი აღმოჩნდება, მაშინ რუსებმა გამონახეს რამდენიმე ხომალდი, რომელთაც ასე შორს წასვლა შეეძლებათ, — აღნიშნა მაკკორმაკმა.

ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე მაკკორმაკს სთხოვეს კომენტარი გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომელიც ვენესუელას ნაპირებთან რუსული სამხედრო გემების გამოჩენას უკავშირდება.

ვნახოთ, მართლა მიიღებენ თუ არა რუსები ამ წვრთნებში მონაწილეობას, ჩვენ მათ ვაკვირდებით. ვნახავთ, მართლა გაიმართება თუ არა ეს წვრთნები, — განაცხადა მან.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ტომას შენნონმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციისთვის ამ ერთობლივი წვრთნების ნამდვილი მიზნები ცნობილია. მაგრამ აშშ არ ითამაშებს ამ თამაშში, — განაცხადა მან.

## რუსებმა საქართველო უნდა დატოვონ, არადა მონიტორინგი ვერ შედგება

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, შონ მაკკორმაკის განცხადებით, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც რუსეთს საქართველოდან ჯარების გაყვანას აიძულებს, უკვე პოზიტიურია.

ევროკავშირისა და მოსკოვის მოლაპარაკებების პირველ შეფასებებზე ბუშის ადმინისტრაციის პრესსპიკერმა ჟურნალისტებთან ისაუბრა.

მისი განცხადებით, ვაშინგტონს მიღწეული შეთანხმების შესახებ დამატებით მოლაპარაკებები საფრანგეთის მთავრობასთან არ ჰქონია.

ამერიკა აქტიურად ითანამშრომლებს ეუთოსთან კონფლიქტის ზონების მონიტორინგთან დაკავშირებით. მანამდე კი, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ძალები უნდა გავიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი მონიტორინგი შეუძლებელი იქნება, — აღნიშნა მან.

მაკკორმაკმა რუსეთთან ატომური თანამშრომლობის შეჩერებაზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, ეს ფაქტი რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებებს უკავშირდება. შესაბამისი დოკუმენტი კონგრესიდან უკვე გაწვეულია.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# „მართვადი ქაოსის“ მოლოდინში

(მესამე გვერდიდან)

სარკოზი გულისხმობდა, რომ ავტონომიაც სტატუსია და ამ საკითხის განხილვა, კაცმა რომ თქვას, ქვეყანას არანაირ იურიდიულ საფრთხეს არ უქადდა.

მაგრამ რუსებმა ამ პუნქტის ამოღებით სათავისოდ ისარგებლეს და შეცვალეს იგი დებულებით „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ „ ნაცვლად „ამ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა“, როგორც დოკუმენტის ფრანგულ ვარიანტში იყო ნათქვამი.

ახლა (რაკი საქმე რუსულ სპეცსამსახურთა ნამოქმედართან გაქვსძ შერლოკ ჰოლმსიც ვერ გაარკვევს, როგორ აღმოჩნდა სრულიად სხვა აზრის შემცველი ნაწილაკი რუსულ და ინგლისურ ვარიანტებში, მაგრამ რაც მთავარია, მოსკოვმა იმას კი მიაღწია, რომ ფაქტობრივად ევროპული დღის წესრიგის პროგრამა - მაქსიმუმად აქცია თუნდაც(!ძ ფოთიდან, კარალეთიდან და წალენჯიხიდან რუსული ჯარების გაყვანა.

თვით აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“ ხომ, როგორც იტყვიან „აღარავინ ჩივის“.

ევროკავშირის სამეულის გეგმას მოსკოვმა საკუთარი პროექტი შეაგება, რომელიც, თუ პირდაპირ ვიტყვით, ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმესი იყო. მათ შორის ბევრი რამ რუსეთმა ვერ მიიღო, მაგრამ... ერთი მუხლი მაინც „დაითრია“.

**საქართველო „სამხრეთ ოსეთთან“ და აფხაზეთთან აფორმებს ხელშეკრულებას „თავდაუსხმელობის შესახებ.**

ეს პუნქტი ყველაზე მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია.

საქმე ის კი არ არის მხოლოდ, რომ ამით საქართველო, ფაქტობრივად, ეთნოწმენდის მომწყობი რეჟიმის (კოკოითისძ ლეგიტიმურობას აღიარებს და ირიბად ცნობს კიდეც „სამხრეთ ოსეთის“ საერთაშორისო სამართალსუბიექტურობას (რაკი დოკუმენტს, მოსკოვის იდეით, ევროკავშირის ლიდერთა ხელმოწერები დაამშვენებსძ არამედ ის გარემოება, რომ ხსენებული შეთანხმებით საქართველოს შეიარაღების უფლებაც იზღუდება.

მაშასადამე, იზღუდება ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ხელშეუხებელი უფლება „ მიიღოს ზომები საკუთარი სუვერენიტეტისა და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

ახლა კი დავსვათ კითხვა: ასეთ სახელმწიფოს ვინ მიიღებს ნატოში?!!!

ნატო სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებაა და არა იმ ქვეყნებისა, რომელთა სუვერენობა საერთაშორისო ხელშეკრულებით შეზღუდულია.

ასეთ სახელმწიფოს კი MAP-საც არავინ მისცემს და სწორედ ეს იყო იმთავითვე რუსეთის მიზანი! — მას აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ კი არ აინტერესებდა, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეზღუდვა.



ბუნებრივია, ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ მოსკოვი ყველაფერს მიიღებს და ყოველივეს მიაღწევს, მაგრამ კრემლში იმასაც ხვდებიან, რომ მოლაპარაკებათა და დისკუსიათა გაჭიანურების შემთხვევაში, ომის შედეგად წარმოშობილი სტატუს-კვო შენარჩუნდება, - რუსული ქვედანაყოფები ფოთსა და ბუფერულ ზონებში დარჩებიან, ქართულ საზოგადოებაში დასავლეთის მიმართ იმედგაცრუება გაიზრდება.. ანუ მოსკოვს აშკარად სურს დრო მოიგოს, რათა საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარება გაამწვავოს და ხელისუფლების შეცვლას მიაღწიოს, რის შემდეგაც „მართვადი ქაოსის“ პროვოცირება ბევრად გაიოლდება და ლუბიანკაზე გამოზრდილი „ტროას ცხენის“ ჯერიც დადგება ჯერ ბათუმში, შემდეგ კი თბილისში.

**რუსეთის „ანალიტიკურ ცენტრებში“ კარგად ხვდებიან იმას, რასაც ზოგიერთი ჩვენში ვერ ხვდება: ემოციური მოთხოვნების, გადაწყვეტილებებისა და „ბრაზიან გულზე“ მოქმედებების შედეგად ქვეყანა კიდევ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება;**

**ხოლო თუ ვინმეს ჰგონია „ამაზე უარესი ველარაფერი იქნება“ — ძალიან ცდება.**

ნიკა ვაშაკიძე,
ინტერპრესნიუსი

ოკეანის გაღმიდან გვწერენ

# შეკითხვა პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას

**ბატონო რედაქტორო!** ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით შევეკითხო „ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს“, ნოემბრის მოვლენების დროს გაერთიანებული ოპოზიციის საბჭოს წევრს, შემდეგ ოპოზიციის რიგებიდან მუხანათურად გამოყოფილ და სხვაგან თავშეყოფილ, ამჟამად პარლამენტის წევრს ოპოზიციონერის სტატუსით, მოქალაქე ჯონდი ბაღათურიას.

ბატონო ჯონდი! ამას წინათ ჟურნალისტმა ბენდელიანმა ერთადერთი შეკითხვა დაგისვათ, — **„ვარდების რევოლუციის“ მონაპოვართაგან რომელს გაუკეთებდითო რევიზიას.**

თქვენ ჩვეული მჭევრმეტყველებით, სხაპა-სხუპით უპასუხეთ — **რევიზიას მთლიანად ამ ხელისუფლებას გავუკეთებდით; იმიტომ, რომ რევოლუციის შედეგად, თაღლითური გზით, ქვეყნის სათავეში მოვიდა კრიმინალური ბანდა, რომელიც ასევე კრიმინალური მეთოდებით დღემდე მართავსო სახელმწიფოს** და ა. შ. და ა. შ.

ამხანაგო ლინტუ! ფუი ეშმაკს, ამხანაგო ჯონდი! პირდაპირ გვარცხვენთ რესპუბლიკური მასშტაბით!

— წლების მანძილზე ამ ხელისუფლებას ლანძღავდით, თათხავდით, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდით, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს რეკეტს, შანტაჟს, ძარცვას, რბევას, ძალადობას, უკანონო დაპატიმრებებს, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას... სხვა ათას ცოდვებსაც უკიჟინებდით, მაგრამ როგორც კი მოიხელთეთ დრო და მომენტი, — უკან ჩამოიტოვეთ ყველა მედროვე [illegible], და პირდაპირ ხელისუფლებაში დურთეთ თავი...

საინტერესოა, დღეს როგორ გრძნობთ თავს „კრიმინალური ბანდის“ (თქვენი სიტყვებია!ძ გვერდით? თქვენი მოსვლის შემდეგ რამე სასიკეთოდ შეიცვალა?



ან, თვალებში როგორღა უყურებთ „კოლეგებს“, რომლებსაც ამდენი ლაფი ასხით? ან ყოფილ თანაპარტიელებს როგორღა ჩახედავთ თვალებში?

თქვენგან დაღალატებულ ხალხზე არას გეკითხებით, რადგან უაზრობაა...

ამხანაგო ლინტუ! (ნეტავ, რად ამეკვიატა იმ კეთილშობილი კაცის სახელი? თქვენთან მიმართებაში მისი გახსენება ნამდვილად უადგილოაძ... ჰოდა, იმას ვამბობდი, — რა ჰქვია ახლა თქვენს საქციელს, როგორც კავკასიის ჟანდარმერიის შეფი, გრაფი სეპედი იტყოდა, — **კაცურ ასპექტში?**

გასაოცრად, ამხანაგო ჯონდი, დათა თუთაშხიას უკვდავი სენტენცია — **ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!**

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**
ფლორიდა, აშშ.

ინფორმაცია

## „ნაშა უკრაინა“ გვერდით გვიდგას

**საქართველოსა** და უკრაინის მეგობრობას ხელს ვერაფერი შეუშლის და ეს მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.

ამის შესახებ უკრაინის რადას ფრაქცია „ნაშა უკრაინას“ დელეგაციის წევრებმა თბილისში ქართველ დეპუტატებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს.

შეხვედრის დაწყებისას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა უკრაინელ სტუმრებს მადლობა გადაუხადა, რომ მიუხედავად მათ ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, მაინც ჩამოვიდნენ საქართველოს მხარდასაჭერად.

მაჭავარიანმა მნიშვნელოვანი უწოდა უკრაინის თანადგომას რუსეთიდან მომდინარე საერთო საფრთხეებთან დაკავშირებით.

სტუმრებმაც ხაზი გაუსვეს თანადგომის მნიშვნელობას. მათი თქმით, მხარდაჭერას საქართველოსგანაც გრძნობენ და ქართველებს ამისთვის მადლობას უხდიან.

ფრაქცია „ნაშა უკრაინას“ დელეგაცია ფრაქციის თავმჯდომარე ვიაჩესლავ კირილენკოს ხელმძღვანელობით საქართველოში გუშინ ჩამოვიდა.

უკრაინელებისთვის საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლა უკრაინის ერთიანობისთვის ბრძოლაა, ხოლო კავკასიაში მშვიდობისთვის ბრძოლა — მთელი აღმოსავლეთი ევროპის მშვიდობისთვის.

აღნიშნული განცხადება უკრაინის რადას ფრაქცია „ნაშა უკრაინას“ თავმჯდომარე ვიაჩესლავ კირილენკომ საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

მისი თქმით, ქართველებსა და უკრაინელებს აერთიანებთ ერთიანი არჩევანი, რადგან მიეკუთვნებიან ევროპულ ცივილიზაციას. წართმეული თავისუფლების დაბრუნების შემდეგ ისინი საკუთარ სახლში — ევროპაში ბრუნდებიან.

ჩვენ ამ გზას ერთად გავიარეთ და ვერაფერი გვაიძულებს ამ გზიდან გადახვევას, — დასძინა კირილენკომ.

უკრაინელი დეპუტატის თქმით, ყველამ ნახა, თუ როგორ ცდილობდნენ გარეშე ძალები ქართველი ხალხის ერთიანობის დარღვევას; როდესაც მათ ეს არ გამოუვიდათ, ღია სამხედრო ინტერვენციას მიმართეს.

მანვე დასძინა, რომ საქართველოს სცენარი მზადდება უკრაინისთვისაც, სადაც ადგილი აქვს კონფრონტაციის პროვოცირებას პოლიტიკოსებს შორის და ცდილობენ, უკრაინა გარე საფრთხეებით დააშინონ. სწორედ ამიტომ, როგორც კირილენკო ამბობს, რუსულ-ქართული კონფლიქტის პირველი დღიდანვე უკრაინამ აქტიური სამშვიდობო პოზიცია დაიკავა.

კირილენკოს თქმით, ეს პოზიცია კვლავ უცვლელი რჩება.

მან სამწუხარო უწოდა იმ მოვლენას, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკის ბუნდოვანმა და, ფაქტობრივად, პრომოსკოვურმა პოზიციამ უკრაინის მთელ პარლამენტს საქართველოსთან მიმართებაში პოზიციის დადასტურების საშუალება არ მისცა.

ამრიგად „ნაშა უკრაინა“ იძულებული გახდა, გამოეცხადებინა, რომ იგი ტოვებს კოალიციას, რომელიც იულია ტიმოშენკოს ბლოკთან ერთად ჰქონდა, — დასძინა კირილენკომ.

„ნაშა უკრაინა“ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

ნატოს წევრობა ხელს შეუწყობს უკრაინისა და საქართველოს დემოკრატიულ გარდაქმნებს და ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება რეალური ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციისკენ, — აღნიშნა მან.

ინტერპრესნიუსი

რა დღეში ვართ



***ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარტ ლაარი 2006 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველია. საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შეფასებისთვის, იგი საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოვიდა. საქართველოს მთავრობის, კერძო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების შემდეგ, მან „ინტერპრესნიუსის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა.***

***ამასთან, ინტერვიუ ნიკოლა სარკოზისა და დიმიტრი მედვედევის შეხვედრამდეა ჩაწერილი, რომელზეც ერთი თვის ვადაში რუსი სამხედროების საქართველოს ტერიტორიიდან (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა), გაყვანა გადაწყდა.***

# მარტ ლაარი: ერთ წელიწადში, თუ ყველაფერი კარგად იქნება, იტყვიან, რომ ქართველი ხალხი უნიკალურია, მან რუსული აგრესიის შეჩერება შეძლო

**— თუ შეიძლება, შეაფასეთ, რა ნეგატიური გავლენა ჰქონდა რუსულ აგრესიას საქართველოს ეკონომიკაზე და რამდენად გრძელვადიანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას?**

— ეს, რა თქმა უნდა, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ზოგადად, ასეთ სამხედრო კონფლიქტს, აგრესიას, აქვს ძალიან ნეგატიური გავლენა. დღემდე საქართველოს ნაწილი, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტი მდებარეობს, ოკუპირებულია რუსული ჯარის მიერ. ასევე, ინვესტორებს აინტერესებთ, არის თუ არა საქართველო სტაბილური ქვეყანა, სადაც ინვესტიციების ჩადება შეიძლება. ამ კონტექსტში მე ძალიან მიკვირს, ვფიქრობ, საქართველო შეიძლება იყოს ამაყი, რომ გაუმკლავდა ასეთ რთულ სიტუაციას. ბევრი ქვეყანა ამ პირობებს ვერ გაუძლებდა. საქართველოც 3 წლის წინათ ამას ვერ გაუძლებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური — ეს ერთადერთი მიზეზია, თუ რატომ გაუძლო ამ სიტუაციას საქართველომ. ეკონომიკა საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო, არ შეცვლილა ლარის კურსი, დაბალი იყო ინფლაცია, არ იყო პანიკა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკაში ყველაზე მთავარი ნდობაა. ქართველ ხალხს სჯერა ქვეყნის, ეკონომიკის და, ვიდრე ეს ნდობა არსებობს, ეკონომიკაში არ იქნება დიდი და ძალიან ნეგატიური რყევები.

არის ბევრი საკითხი, რომლებიც საჭიროებს რეაგირებას. ეკონომიკური ზრდა, რა თქმა უნდა, მცირდება. ზუსტი ოდენობის დასახელება მიჭირს. აქ ჩამოსვლამდე ძალიან პესიმისტურ შეფასებას გავაკეთებდი, აქ კი გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე მე ვფიქრობდი. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იქნება უახლოეს დღეებსა და კვირებში. რაც მთავარია, სტაბილურება შენარჩუნებულია...

**— რის ხარჯზე?**

— არის ნდობა სახელმწიფოსა და ეკონომიკის მიმართ. თუ, მაგალითად, რუსული ჯარების გაყვანა გაჭიანურდება, ამას ძალიან ნეგატიური გავლენა ექნება. ეს იმოქმედებს ამ ნდობისა და ინვესტორების განწყობების წინააღმდეგ. რუსული ჯარების გაყვანა ე. წ. ბუფერული ზონებიდან ამ დროისთვის არის მთავარი პრიორიტეტი და ეს ესმის, საბედნიეროდ, არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპასაც.

**— შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების ჩადება საქართველოს ეკონომიკაში შეჩერებულია?**

— მეც კი ვარ გაკვირვებული, მაგრამ — არა. ბევრ ინვესტორთან მქონდა საუბრები, როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილ ინვესტორებთან. ისინი ამბობენ, რომ ბიზნესი — ბიზნესია, საქართველოში ეკონომიკური სისტემა შენარჩუნებულია. მთავრობას ამ რთულ პერიოდში არ გამოუყენებია რაიმე ადმინისტრაციული ბერკეტები, არ შეუცვლია თავისუფალი ეკონომიკური აზროვნება. ინვესტორებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი იყო, რომ მთავრობა მშვიდად იქცეოდა ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ.

**— რა იგულისხმება ადმინისტრაციულ ბერკეტებში, რომლის გამოყენებაც შეეძლო მთავრობას?**

— მთავრობას შეეძლო, დაეწესებინა შეზღუდვები ვაჭრობაზე, ფასებზე, ბიზნესზე. ეს არ მოხდა, რამაც გააძლიერა ინვესტორების ნდობა.

**— ფასების ზრდა საკმაოდ შესამჩნევია საქართველოში. როგორ შეიძლება შეიცვალოს ვითარება ამ მხრივ, მოსალოდნელია თუ არა ფასების შემდგომი ზრდა?**

— ფასები, განსაკუთრებით პროდუქტებზე, ყველგან იზრდება. ჩემი რჩევა იყო, მოხსნილიყო ყველა ბოლო საბაჟო შეზღუდვა ვაჭრობაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში, რომ მართლაც ღია ვაჭრობა იყოს. ბევრი გადასახადი აღარ არსებობს, კარგი იქნებოდა დარჩენილების მოხსნაც, რადგან რაც მეტია ბრძოლა ბაზარზე, მით მეტია კონკურენცია და ფასების ზრდაც არ იქნება მკვეთრი. ვგულისხმობ, როგორც საგადასახადო, ასევე საბაჟო კოდექსში შესატან ცვლილებებს.

საჭიროა საუბრები ინვესტორებთან, იმ სექტორებისთვის ყურადღების მიქცევა, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კონფლიქტის შედეგად. ასევე, აუცილებელია პროგრამების გაგრძელება, რომლებიც მთავრობას უკვე აქვს ბიზნესის მხარდასაჭერად.

ისევ დავუბრუნდები შეხვედრებს ინვესტორებთან. მათ განაცხადეს, რომ გააგრძელებენ ყველა იმ ბიზნეს-გეგმის შესრულებას, რაც მათ აქვთ. მე ვერ ვიტყვი, რომ არც ერთი ფაქტი არ არის, როდესაც ბიზნესმენებმა უარი თქვეს საკუთარ გეგმებზე, მაგრამ ასეთ ფაქტებს მოძიება სჭირდება.

მთავრობამ აქტიურად უნდა იმოქმედოს იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ქვეყანაშია. უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტულია დევნილების პრობლემების მოგვარება, ასევე უზარმაზარი დახმარების მიღება, რომელიც საქართველოსთვის იქნება გამოყოფილი, არა მარტო კარგი, არამედ სახიფათოც არის.

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ თანხების არამიზნობრივ განაწილებას. ეს თანხა შეიძლება იყოს დახარჯული მცირე პროექტებზე და არა ეკონომიკისთვის საჭირო გრძელვადიან პროექტებზე. ამ თანხების არასწორმა ხარჯვამ, შესაძლოა, ინფლაციაზეც იმოქმედოს. ასევე, უზარმაზარმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ, შეიძლება, გავლენა მოახდინოს ადგილობრივ წარმოებაზე. მთავრობამ უნდა შეკრიბოს სპეციალისტები, მათ შორის ბიზნესმენები და მათთან ერთად იფიქროს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და — როგორ.

თუ თანხები სწორად იქნება მიმართული, ეს ეკონომიკისთვის იქნება ძალიან დადებითი ძვრა. საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ომამდე იყო. ამ დახმარების მეშვეობით საქართველოს შეუძლია ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც არ იყო ძალიან კარგ მდგომარეობაში ომის დაწყებისას.

**— არსებობს რამე გეგმა, თუ როგორ არ უნდა იმოქმედოს ნეგატიურად ამ დახმარებამ?**

— მე ვფიქრობ, ასეთი გეგმა უმოკლეს ვადებში უნდა შემუშავდეს. მთავრობა ამ მიმართულებით უკვე მუშაობს.

**— საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთი ბოლო გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკამ ბოლო მოვლენების დროს უფრო იზარალა, ვიდრე — ქართულმა. გაქვთ თუ არა კონკრეტული მონაცემები ამასთან დაკავშირებით?**

— ოქტომბერში თბილისში ჩატარდება დიდი საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი გამომსვლელი კონფერენციაზე იქნება ანდრეი ილარიონოვი — ვლადიმირ პუტინის ყოფილი ეკონომიკური მრჩეველი. მისგან შეიძლება უფრო ნათელი სურათი მივიღოთ, თუ რა მოხდა რუსეთის ეკონომიკაში, მაგრამ ახლაც ბევრი ითქვა, რომ რუსეთმა საქართველოზე რამდენჯერმე მეტად იზარალა. ამისთვის ჯერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალის დათვლა უნდა მოხდეს. ახლა, მაგალითად, საქართველოში ნატოს მისია მუშაობს, რომელიც შეაფასებს ზარალს (რუსეთის შეფასებით, საქართველომ ომის შედეგად 1 მილიარდი დოლარი იზარალა — **რედ**.ძ.

რაც შეეხება რუსეთს, მოხდა მილიარდობით დოლარის გადინება საბირჟო ბაზრიდან, ეს არის საბირჟო კრახი. რუსეთის ბირჟა 2006 წლის დონეზე დავარდა, როცა რუსეთი იყო წარმოდგენილი, როგორც ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყანა. რუსები ამბობენ, რომ ეს არ გაგრძელდება, რადგან რუსეთი არ იქნება ეკონომიკურად იზოლირებული, მაგრამ მე ამაში დარწმუნებული არ ვარ.

რუსეთი უახლოეს მომავალში ვერ გახდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. ამის გამო, ერთ-ერთი ცნობილი ეკონომიკური ექსპერტის აზრით, რუსეთი წელიწადში ეკონომიკური ზრდის 1 პროცენტზე მეტს დაკარგავს.

ეს ომი ნიშნავდა, რომ კრემლში გაძლიერდნენ ე.წ. ძალოვნები. შესაბამისად, არ იქნება ის ეკონომიკური რეფორმები, რომელიც ძალიან სჭირდება რუსეთს, არ იქნება დიდი უცხოური ინვესტიციები, მათ შორის — ენერგეტიკის სექტორში. ენერგეტიკიდან უზარმაზარი შემოსავლების მიღების მიუხედავად, ინფრასტრუქტურა ქვეყანაში არ არის მნიშვნელოვნად მოდერნიზებული. მაგალითად, გზების მშენებლობისთვის თანხების გამოყოფა წელიწადში დაახლოებით 1 პროცენტით იზრდება, რაც ძალიან ცოტაა.

**— იქნება თუ არა რუსეთი კვლავ ენერგორესურსების მონოპოლისტი ევროპაში?**

— რუსეთი აღარ არის ენერგორესურსების მონოპოლისტი ევროპაში. მან მიაღწია, რომ აღარ ითვლება ევროპაში სანდო პარტნიორად. ევროპა გააგრძელებს ალტერნატიული ენერგორესურსების ძებნას. ამას, შესაძლოა, არაერთი წელიწადი დასჭირდეს. რუსეთისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, ყოფილიყო სანდო პარტნიორი ევროპისთვის.

**— საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი საბოლოოდ დაკარგულია?**

— ეს ომამდეც ასე იყო. რუსულ ბაზარზე დაბრუნების იმედი არ იყო რეალობასთან ახლოს. საქართველომ უკვე მოახდინა ეკონომიკის გადამისამართება ევროპისკენ. საბედნიეროდ, საქართველო აღარ არის დამოკიდებული რუსულ ენერგეტიკაზე. საქართველოს უკვე შეუძლია ელექტროენერგიის ექსპორტი. მეორეს მხრივ, მაღაზიებში არის ბევრი რუსული პროდუქცია, რომელთა წარმოება, სხვათა შორის, საქართველოშიც შეიძლება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს რაიმე სანქციების დაწესება. საქართველომ არ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც რუსეთმა.

მაგრამ რატომ უნდა ხდებოდეს, მაგალითად, ფორთოხლის წვენის შემოტანა საქართველოში რუსეთიდან? აქ არის ყველაფერი — ფორთოხალიც, პომიდორიც — მსოფლიოში საუკეთესო, სხვათა შორის. მაგრამ ამას გამოყენება სჭირდება.

**— მხოლოდ აშშ-დან ფინანსური დახმარება დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარი იქნება. ამის გარდა, გამოიყოფა ევროპის მიერ. რა სფეროებს უნდა მოხმარდეს ეს ფინანსური დახმარება, თქვენი აზრით?**

— უპირველესად — ინფრასტრუქტურას, რომელიც ომამდეც არ იყო საუკეთესო მდგომარეობაში. ეს არის გზები, როგორც ცენტრალური ავტომაგისტრალი, ასევე სამხრეთ საქართველოში, საკომუნიკაციო სისტემები, პორტები და ა.შ. ასეთი პროექტები ხელს უწყობენ მთელი ქვეყნის განვითარებას. საქართველოში არის პრობლემა, რომ რეგიონები ვითარდება არათანაბრად. ეს უკავშირდება კომუნიკაციების, გზების არარსებობას.

და კიდევ ერთი — ყველამ ნახა, რომ საქართველოში მოქმედი დემოკრატიაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში იქნებოდა სხვა მთავრობა და სხვა პრეზიდენტი, დანიშნული კრემლის მიერ. მაგრამ ქართველმა ხალხმა მიაღწია იმას, რომ ეს არ მოხდა.

**— ევროპის და აშშ-ს აქტიური მხარდაჭერის გარეშე, შენარჩუნდებოდა საქართველოში ეკონომიკის მდგრადობა?**

— ეს მხარდაჭერა თავად საქართველოს მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს მოჰყვა. თეორიულად, რუსულ ჯარებს შეეძლოთ თბილისში შემოსვლა, მთავრობის შეცვლა. განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთისთვის ოპოზიციური ჯგუფების მიერ რაიმე ღონისძიებების, დემონსტრაციების მოწყობა — ეს გამოიწვევდა მთავრობის „ტრადიციულ“ შეცვლას საქართველოში. რაც მოხდა, ეს საქართველოს დამსახურებაა.

რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. საქართველოს ჯარი იბრძოდა და მაქსიმალურად იბრძოდა. რუსეთთან ბრძოლა, ზოგადად, არაპერსპექტიულია, მაგრამ საქართველოს ჯარი არ განადგურებულა. ეს პირველი მიზეზი იყო, თუ რატომ არ გააგრძელეს რუსებმა შეტევა. მეორე მიზეზი — საქართველოს ეკონომიკა მუშაობდა, ელექტროენერგია არ გათიშულა, არ იყო სერიოზული შეფერხებები მობილური კავშირისა და ინტერნეტის მხრივ. და კიდევ ერთი — ოპოზიციიდან დაწყებული, ყველა იყო ერთიანი. ევროპისთვის ეს ასევე მნიშვნელოვანი იყო. რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი იყო მიმართული იმის ჩვენებაზე, რომ სააკაშვილს არავინ არ უჭერს მხარს. ყველა ღონისძიება კი, მათ შორის ხალხის შეკრებებმა აჩვენეს, რომ ეს არ არის ასე.

ერთ წელიწადში, თუ ყველაფერი კარგად იქნება, იტყვიან, რომ ქართველი ხალხი — უნიკალურია, მან რუსული აგრესიის შეჩერება შეძლო.

**— არსებობს თუ არა საქართველოში კონფლიქტების მოგვარების ეკონომიკური გეგმა?**

— დღეს, მე ვფიქრობ, საქართველომ უნდა მიხედოს საკუთარ თავს და — არა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

**— მაგრამ ესეც ხომ საქართველოს ტერიტორიაა?**

— კი, ეს საქართველოა. მაგრამ ვფიქრობ, რომ კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობამ გადაიწია, ალბათ, დიდი პერიოდით. აფხაზეთი, ვფიქრობ, მაინც მიხვდება, რომ საქართველოსთან ყოფნა მისთვის უკეთესია, ვიდრე — რუსეთთან.

ესაუბრნენ
**ანა თუთბერიძე,**
**სანდრო ჯუფალაკიანი.**

◎ მიწვევა სადისკუსიოდ

# რგოლები მახინჯ ჯაჭვში

## გამოსავალი სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს!

**საქართველოში შექმნილი ღრმა და მრავალმხრივი კრიზისის დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საფუძვლიანად გაანალიზდეს, თუ როგორ აღმოვჩნდით იმ კატასტროფულ მდგომარეობაში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. ჩვენი ვალია, გავერკვეთ ქვეყნის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიდემოკრატიული მართვით გამოწვეულ მოვლენათა თანამიმდევრობაში — იმ მახინჯ ჯაჭვში, რომლის ბოლო რგოლიც ასეთი ტრაგიკული აღმოჩნდა.**

ამ ჯაჭვის **პირველი რგოლი**, ანუ მოვლენათა ტრაგიკული განვითარების სათავე, ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების არადემოკრატიული და თავაშვებული მართვაა. განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მთავრობას თავიდანვე არაკვალიფიციური, მაგრამ მისთვის სანდო, ძირითადად თანაპარტიელი, პერსონებით აკომპლექტებდა? ერთპარტიული მმართველობა შესაძლებელია ქმედითი იყოს დიდ ქვეყნებში, რამდენადაც მრავალრიცხოვან მოსახლეობაში შესაძლებელია ერთ რომელიმე პარტიაშივე მოიძებნოს ქვეყნის მართვისათვის საჭირო პოლიტიკოსთა თუ სპეციალისტთა რესურსი. ისეთ პატარა და მცირერიცხოვან ქვეყანაში კი, როგორიც საქართველოა, შეუძლებელია ერთი პარტიის ფარგლებში ე.წ. „გუნდური პრინციპით" სრულფასოვანი, მართვის უნარის მქონე ადამიანთა ერთობის ფორმირება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გუნდური პრინციპით მართვის დეკლარირება, ცხადია, უნებლიე შეცდომა არ ყოფილა. სინამდვილეში იგი ავტორიტარული მართვის შესანიღბად იყო შერჩეული და გამოცხადებული. ქვეყნის მართვა არსებითად ავტორიტარული იყო, ფორმით კი ბოლშევიკური — ბინარულ (ასე ვთქვათ, შავთეთრ) აზროვნებაზე დაფუძნებული. ბინარული აზროვნება წარმოადგენს აზროვნების პირველად, მარტივ ფორმას. იგი მეცნიერულადაა შესწავლილი და მისი დამანგრეველი ზემოქმედება საზოგადოებაზე კარგად არის ცნობილი.

შემაშფოთებელი ფაქტია, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების აზროვნების კულტურა არ სცილდება ბინარულ აზროვნებას. სწორედ ამიტომ იწვევს იგი ბოლშევიზმის ასოციაციებს და ხშირად ნეობოლშევიზმად მოიხსენიება კიდევაც. ცხადია, ბოლშევიკებისა და ჩვენი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იდეალები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ბინარული აზროვნება და, აქედან გამომდინარე, მოქმედების ტიპები თითქმის იდენტურია. საზოგადოების გაყოფა „ჩვენებად" და „არაჩვენებად" ბინარული სქემის მიხედვით ნიშნავს: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია". ბოლშევიკების მსგავსად, დღევანდელ ხელისუფლებას აქამდე არ გამოუმჟღავნებია საზოგადოებასთან დიალოგის სურვილიც კი. იგი გაცვეთილი, იაფფასიანი ტრიუკებით ცდილობდა (და დღესაც ცდილობს) მოეხდინა საზოგადოების გულისწყრომისა და განსხვავებული აზრის მარგინალიზაცია.

ცნობილია, რომ ამგვარი აზროვნების პირობებში ხელისუფალთა ნებისმიერი ძალისხმევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დესტრუქციული იყოს. **ხელისუფლება ქმნის და ახორციელებს პროპაგანდისტულ მექანიზმებს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისაგან მტრის ხატის შესაქმნელად და ამოძრავებს მათი (განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების) „ჩარეცხვის" დაუოკებელი სურვილი.** ხელისუფალნი ცდილობენ საზოგადოებასთან დიალოგის კატეგორიული უარყოფა შენიღბონ პრინციპული და უკომპრომისო რეფორმატორობის საბურველით. უნდა ითქვას, რომ ეს იაფფასიანი ტრიუკი თავისთავად არ გამოირჩევა ორიგინალობით — იგი არადემოკრატიული მმართველობის ტიპური ნიღაბია. ხდება საზოგადოების სრული პოლარიზაცია და ანტაგონიზაცია. შედეგად, ქვეყნის მართვა სულ უფრო და უფრო ავტორიტარული ხდება. ცხადია, ხელისუფლება ამგვარ რეჟიმში მუშაობის დროს გაუმართლებლად გაზრდილი პოლიციისა და ჯარის იმედზეა. ამ ორ უწყებას ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის 30 პროცენტი ხმარდება!

ქვეყნის არსებითად ავტოკრატული და ფორმით ბოლშევიკური მართვა უცილობლად შობს კორუფციას. საქართველოში გამოვლენილი (და ჯერჯერობით გამოუვლენელი) კორუფცია სისტემური, ამასთანავე, ელიტარული ხასიათისაა — იგი მართვის არსებული ტიპის ორგანული ნაწილია, მისი გარდაუვალი მეტასტაზია. ავტოკრატული და ერთპარტიული მართვის პირობებში მის აღმოფხვრაზე საუბარიც კი ზედმეტია — მას მზარდი და შეუქცევადი ხასიათი აქვს. ასეთი სისტემური კორუფციის პირობებში, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობაა ხელისუფალთა რიხიანი განცხადებები კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლის შესახებ. აზროვნებისა და მმართველობის ზემოხსენებული ტიპი მუდმივად წარმოქმნის ხოლმე ჩიხურ სიტუაციებს. ჩვენს შემთხვევაში ამგვარი ჩიხური სიტუაციები დროდადრო იწვევდა მთავრობის ტაქტიკურ, არსებითად უშედეგო როტაციებსა და ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაუარესებას, რამაც სახელმწიფო საბოლოოდ ყოფნა-არყოფნის საბედისწერო ზღვრამდე მიიყვანა. შეუძლებელია არ გაგვახსენდეს კომიკური სცენები, როდესაც ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე ტელეეკრანებიდან „შთაგონებული" სახით გვიმოძღვრავდა და გვიხატავდა სამშობლოს ნათელ მომავალს. არადა, ასეთი ბეცი მმართველობის პირობებში ეკონომიკას წინსვლა არ ეტყობოდა, პირიქით, ხდებოდა ბიზნესისა და კერძო საკუთრების საყოველთაო და ტოტალური დატერორება. ასეთი, უკაცრავად პასუხია, „ეკონომიკური პოლიტიკის" შედეგად ახალი სამუშაო ადგილები კი არ იქმნებოდა, არამედ კატასტროფულად იზრდებოდა უმუშევართა რაოდენობა. „გამოსავალიც" გამოინახა — ქვეყნის მიწა-წყლისა და სტრატეგიული ობიექტების გასხვისება-გაყიდვა!

**ეს ზემოხსენებული მახინჯი ჯაჭვის მორიგი რგოლია**. საქართველოს მიწა-წყლის გასხვისება-გაყიდვის პროცესი მეტწილად მიმდინარეობდა (და მიმდინარეობს) ეკონომიკურად გაუმართლებლად, არასრულფასოვნად და მომავლისათვის საბედისწეროდ. გასხვისებულ (ძირითადად უცხოელებზე გაყიდულ) საქართველოს მიწა-წყალს ქართველი ხალხი ძნელად თუ დაიბრუნებს და, შესაბამისად, ამ მხრივ იგი უუფლებოდ რჩება საკუთარ სამშობლოშივე.

საიდუმლო არ არის, რომ აქედან შემოსული თანხები არა სოციალური პრობლემების მოგვარებას, ახალგაზრდების განათლებასა თუ დემოკრატიული სისტემების გაძლიერებას ხმარდებოდა, არამედ, ძირითადად — ქვეყნის შეიარაღებას. როდესაც ქვეყანაში შეიარაღებაზე ყოველწლიურად იხარჯება სულ ცოტა ორმოცდაათჯერ მეტი საბიუჯეტო სახსრები, ვიდრე, მაგალითად, მეცნიერებაზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს არა დასავლური ქვეყნების ცხოვრების სტანდარტებთან მიახლოება, არამედ ამ სტანდარტების ცინიკური უარყოფა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წელს განვითარებული მოვლენები, როდესაც პოლიცია არბევდა და უნივერსიტეტიდან ერეკებოდა პროფესურას (იქნებ ესეც დასავლური სტანდარტებით იყო გათვალისწინებული?), უმაღლესი ხელისუფლება დუმდა. დუმდა ამის შემდეგაც, როდესაც უნივერსიტეტი მეტწილად არაკომპეტენტური და მედროვე ადამიანებით კომპლექტდებოდა. დუმილი დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ დაირღვა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი სამხედრო ამალით მივიდა უნივერსიტეტში და სააქტო დარბაზში შეკრება ჩაატარა. იგი ენერგიულად მოუწოდებდა ახალგაზარდებს არა მაგისტრატურასა თუ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში დახელოვნებისაკენ, არამედ „ოქროს მთებს" ჰპირდებოდა მათ, ვინც ოფიცრად წავიდოდა ქართულ ჯარში — პრეზიდენტს ათას ხუთასი სამხედრო მოსამსახურე სჭირდებოდა! გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შოკის მომგვრელი, შემზარავი სანახაობა. სამწუხარო ისაა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მაშინვე არ ატეხა განგაში.

ცხადია, ფუნდამენტურად მოაზროვნე, მეცნიერებებში განაფული ახალგაზარდების ხარჯზე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა, ქვეყნის ზღვარგადასული, ყოვლად გაუაზრებელი მილიტარიზაცია ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრების სტანდარტებთან მიახლოების მცდელობად ვერ ჩაითვლება. **ეს, მახინჯი ჯაჭვის მორიგი რგოლია**. როგორც დრამის განვითარების ცნობილი კანონზომიერება გვიკარნახებს, თუკი პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი ჩამოჰკიდეს, ბოლო მოქმედებაში ეს თოფი აუცილებლად გავარდება. ჩვენს შემთხვევაში ეს „თოფი" არაერთხელ გავარდა და საბედისწერო შედეგებიც მივიღეთ. პირველად ეს მოხდა 2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც რამდენჯერმე დაარბიეს მშვიდობიანი აქციები, დალეწეს და დაადუმეს ავტორიტარიზმის საშიში მტერი — ქვეყნის მასშტაბით თავისუფლების ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე კერძო ტელეკომპანია. უკანასკნელად კი მოხდა ახლა, აგვისტოში, როდესაც ხელისუფლებამ საომარი მოქმედებებით მოინდომა ამ გზით გადაუჭრელი პრობლემის გადაჭრა. ამ ტრაგედიის სათავე ქვეყნის ბიუჯეტსა და, ზოგადად, ქვეყნის გადაჭარბებულ მილიტარიზაციაში უნდა ვეძებოთ. ახლა მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენნაირი პატარა ქვეყნის ზღვარგადასული მილიტარიზაცია თავისთავად შეიცავს ტრაგიკული შედეგების მაღალ ალბათობას.

არანაკლებ საგანგაშოა, რომ ქართული მიწა-წყალი და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები მეტწილად იყიდებოდა და, შესაძლებელია, ახლაც იყიდება ჩვენი „დიდი კეთილისმყოფელის" — რუსეთის გაურკვეველ ფინანსურ (არსებითად პოლიტიზირებულ) სტრუქტურებზე. ამის დასტურად თუნდაც ის იკმარებს, რომ ამა წლის მაისში, უკიდურესად გამწვავებული რუსულ-ქართული ურთიერთობების პერიოდში, თბილისის წყალკანალი თავისი ჟინვალის წყალსაცავითურთ საბოლოოდ მიეყიდა ვირჯინიის კუნძულების ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ, სინამდვილეში კი რუსების კუთვნილ, კომპანიას. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამჟამად თბილისის წყალკანალს რუსული სპეცსამსახურები აკონტროლებენ. რით არ არის ეს დამოკლეს მახვილი, რომელიც აღმართულია ჩვენი დედაქალაქისა და მისი მოსახლეობის თავზე? რით არ არის ეს ის „თოფი", რომელიც რომელიმე მოქმედებაში აუცილებლად „გავარდება"?

საქართველოს ხელისუფალთა ბინარული აზროვნება გადაულახავ წინააღმდეგობებს ქმნიდა საგარეო ურთიერთობებში. ამ აზროვნების ფარგლებში ფორმირებული სქემა: ამერიკა-რუსეთი, მეტისმეტად არაკონსტრუქციულია. იგი იწვევს სქემის ერთ-ერთ ელემენტთან, კერძოდ, ამერიკასთან, უპრინციპო „მიწებებას", ხოლო მეორე ელემენტთან — რუსეთთან — უკიდურეს დაპირისპირებას. ეს ზოგადად ორმხრივად წამგებიანი „თამაშია": ამერიკა უაპელაციოდ განკარგავს საქართველოს აწმყოსა და მომავალს, რუსეთი კი უაპელაციოდ დესტრუქციულია ჩვენს მიმართ. ელემენტარული ჭკუა და გონიერება იყო საჭირო, რომ წარმოგვედგინა პუტინის ბარბაროსული მმართველობის დესტრუქციული ძალა, მისი დამანგრეველი პოტენციალი ჩვენი ქვეყნისათვის. აგვისტოს მოვლენებმა ეს ყოველივე უკიდურესი ტრაგიზმით წარმოაჩინა.

თუ მოკლედ შევაჯამებთ „რევოლუციური" ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა და მისგან გამოწვეული შედეგების თანამიმდევრობას, ადვილად შევამჩნევთ, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯები სხვა არაფერია, თუ არა **რგოლები მათ მიერ გამოჭედილ მახინჯ ჯაჭვში, რომელიც ყელზე შემოხვევია და ახრჩობს ჩვენს ქვეყანას, უსპობს მას მომავლის პერსპექტივას:**

— პირველი რგოლი ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების ანტიდემოკრატიული და თავაშვებული (არსებითად ავტოკრატული) მართვაა — ხელისუფალთა აზროვნების პრიმიტიული, შავ-თეთრი ფორმა, რომელიც ქვეყანასა და საზოგადოების კი არ აერთიანებს, არამედ შლის და ანაწევრებს;

— მეორე რგოლი საქართველოს მიწა-წყლისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მეტწილად რუსეთზე მიყიდვაა, ფაქტობრივად, მათი სპეცსამსახურებისათვის განსაკარგავად გადაცემაა;

— ასევე დანაშაულებრივი რგოლია მიწა-წყლისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გაყიდვით შემოსული ფულადი სახსრების არა, ვთქვათ, ახალგაზრდობის საფუძვლიან განათლებაში დაბანდება, არამედ ქვეყნის დაუსაბუთებელი და უანგარიშო მილიტარიზაცია.

გამოდის, საქართველოს მიწა-წყალი იყიდებოდა იმისათვის, რომ მიღებული შემოსავლით ეყიდათ სამხედრო ტექნიკა, შეეიარაღებინათ ახალგაზრდები და გაეშვათ წინასწარ განწირულ ომში, რის შედეგადაც მივიღეთ აუნაზღაურებელი მსხვერპლი, განადგურდა ქალაქები და სოფლები, გაჩნდნენ ახალი ლტოლვილები და დაიკარგა გაცილებით მეტი ტერიტორია, ვიდრე ეს ომის დაწყებამდე იყო.

ცხადია, ხელისუფლების ქმედებათა ეს ჩამონათვალი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დანაშაულებრივი პოლიტიკისა, რომელმაც აგვისტოს ტრაგედიამდე მიგვიყვანა. აქ არაფერს ვამბობთ ისეთ „განშტოებებზე", რომლებიც ეხება არჩევნების უტიფარ გაყალბებას, პროკურატურისათვის სასამართლო ხელისუფლების ფაქტობრივად დაქვემდებარებას, ბიზნესის დატერორებას, კერძო ქონების ექსპროპრიაციას, ელიტარული კორუფციის მასშტაბებს, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, მეცნიერებისა და განათლების მოშლა-განადგურებას, ადამიანთა განუკითხავ ხოცვას, ახალგაზრდობის ზომბირებას და ა. შ. და ა. შ. ალბათ, ახლა დროც არ არის ყოველივე ამაზე ვრცელი და საფუძვლიანი საუბრისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უსათუოდ უნდა დადგეს (დადგება კიდევაც!) ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, ამჟამად, — რუსული ოკუპაციის პირობებში, — ვფიქრობთ, სასურველი არ არის მკვეთრი შიდაპოლიტიკური დაპირისპირება, ქუჩის აქციები და ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლების დაუყოვნებლივი გადაყენების მოთხოვნა. ეს ქაოსს, საზოგადოების შემდგომ დემორალიზაციასა და ნგრევას მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

მაგრამ, ამავე დროს, სრულიად ცხადია, რომ უნდა შეიქმნას ბინარული კატეგორიებით მოაზროვნე ხელისუფლებაზე ქმედითი საზოგადოებრივი და საერთაშორისო კონტროლის მექანიზმი, რათა ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს თავიდან ავიცილოთ მორიგი გაუთვლელი, არაადეკვატური ნაბიჯები. თუნდაც ერთი იმპულსური მოქმედება ან მორიგი უპასუხისმგებლო განცხადება ხელისუფლების მხრიდან, შესაძლოა, სრული სახელმწიფოებრივი კრახისა და კატასტროფის მომტანი გახდეს საქართველოსათვის.

შესაძლებელია, ამგვარი კატასტროფული ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანის ლეგიტიმური და შედარებით უმტკივნეულო გზა იყოს ქართველი საზოგადოებისათვის მისაღები და, ამავე დროს, საერთაშორისო ასპარეზზე სანდო და პროგნოზირებადი რეპუტაციის მქონე **პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, რომელსაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა მინისტრთა კაბინეტის, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების, დაკომპლექტებისა არა პარტიული, არამედ პროფესიული ნიშნით**. ეს ჩვენ აგვაცილებს მოსალოდნელ საზოგადოებრივ დაპირისპირებასა და მნიშვნელოვნად შეამცირებს ფატალურ შეცდომათა დაშვების ალბათობას.

გასაგებია, რომ ამ გეგმას წინააღმდეგობა შეხვდება სახელისუფლებო წრეებში, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ამ წინააღმდეგობის დაძლევა სავსებით რეალურად გვესახება, ერთი მხრივ, ქართველი საზოგადოების აქტიურობითა და, მეორე მხრივ, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარ სახელმწიფოთა მთავრობების ძალისხმევით.

**„ქართული აკადემია" გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს ამ საკითხის გარშემო ფართო და პრინციპული ხასიათის საზოგადოებრივ დისკუსიას.**

„ქართული აკადემია".

8.09.08

№ 169. ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 2008 წელი.

ეს უნდა ვიცოდეთ



მართალია, XVIII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, რუსეთი ამარცხებდა სპარსეთსა და ოსმალეთს, მაგრამ ეს სახელმწიფოები ამ დროისათვის უკვე არ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას. XIX საუკუნეში თურქეთს ადარებდნენ დასაცემად გამზადებულ ცხენს, რომლის ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიშპებოდნენ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და საფრანგეთი.

არა მხოლოდ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ სახელმწიფოს მესვეურებიც, არაერთხელ შეეცადნენ

# არ გათეთრდების ყორანი...

სახელმწიფო მმართველობაში, რუსი ხალხის ცხოვრებაში ცვლილებები შეეტანათ და ამისათვის ატარებდნენ „პერესტროიკას“. ერთ-ერთი ასეთი „პერესტროიკის„ ჩატარება 1905 წელს განიზრახეს.

1905 წლის 17 ოქტომბერს, რევოლიციური მოძრაობის აღმავლობის დროს, თვითმპყრობელური ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, მეფემ გამოსცა მანიფესტი „სახელმწიფო წეს-წყობილების სრულყოფილებისათვის“, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ოქტომბრის მანიფესტის“ სახელწოდებით. აღნიშნული მანიფესტით მეფე ხალხს ჰპირდებოდა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას, სიტყვის, პრესის, სარწმუნოების, კავშირების შექმნის თავისუფლებას და სხვა. ეს დაპირებები იმდენად უჩვეულო, მოულოდნელი, რევოლუციური იყო იმდროინდელი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო წეს-წყობილების ფონზე, რომ ხალხმა იგი „პერესტროიკად“ მონათლა. რუსეთის ინტელიგენციის ნაწილმა იმთავითვე ეჭვის თვალით შეხედა ზემოდან ბოძებული დათმობების პრაქტიკული განხორციელების პერსპექტივას. მათი აზრით, საუკუნეების განმავლობაში მონობაში მყოფი ხალხი, რომელიც მე-19 საუკუნეშიც კი ნახევრად მონათმფლობელური ცხოვრებით ცხოვრობდა და მხოლოდ „მათრახის პოლიტიკას“ ემორჩილებოდა (გავიხსენოთ ა. პუშკინის სიტყვები — პეტრე I რეფორმები მათრახით არის გატარებულიო, უცბად ვერ გადემოკრატდებოდა. ასეთი ვარაუდი აქვს გამოთქმული ცნობილ პოეტს საშა ჩორნის (ალექსანდრე ვაკსბერგიძ ლექს-პაროდიაში „До реакций“, რომელიც 1906 წელს დაიბეჭდა:

Дух свободы... К перестройке
Вся страна стремиться,
Полицейский в грязной Мойке
хочет утопится!
Не топись охранный воин,
Воля улыбнется!
Полицейский! Будь покоен
Старый гнет вернется...

და, მართლაც, 1907 წელს რუსეთში იწყება საშინელი რეაქცია, რასაც მოჰყვა არამარტო ადამიანების ფიზიკური მოსპობა, არამედ მათი ფსიქიკური განადგურება-გადაგვარება (განსაკუთრებით ინტელიგენტებს შორისძ, რაც გამოიხატებოდა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვაში, საზოგადოებრივ-სახალხო ინტერესებისადმი ინდეფერენტიზმში, გახშირდა თვითმკვლელობები და ა.შ.

არც მეფის დამხობის შემდეგ გაუმართლა რუს ხალხს. ბოლშევიკების ლიდერებმა კარგად აუღეს ალღო საუკუნეების განმავლობაში რუსი ხალხის გენეტიკურ მახასიათებლად ქცეულ თვისებებს და დაიწყეს მათ გაუთვითცნობიერებელ შოვინისტურ გრძნობებზე თამაში. სწორედ ამიტომ ამბობდა ფ. ენგელსი, „ყველა ჯურის ავანტიურისტისთვის რუსეთი საქმიანობის კარგი ასპარეზიაო“. (ამ სიტყვების სიმართლეს თანამედროვე რუსეთში ვ. ჟირინოვსკის „მოღვაწეობა“ ადასტურებსძ. „ველიკი რუსსკი ნაროდმა“ წარმოიდგინა, რომ ის მართლა ველიკია და დაიწყო სხვა ხალხებისთვის ჭკუის სწავლება, თუ როგორ უნდა მოაწყონ სახელმწიფო მმართველობა, სახალხო მეურნეობა და ა.შ. ამ თავისი მესიანისტური მოვალეობის შესასრულებლად იგი არ ერიდებოდა არც მატერიალურ და არც ადამიანთა დანაკარგებს. დღესაც რუსეთში ბევრს სჯერა, რომ აფრიკის ქვეყნებში, ავღანეთში, ვიეტნამსა და სხვაგან რუსები ეწირებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წმიდათაწმინდა იდეებს. დღესაც ზოგიერთი რუსი ინტელიგენტი ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი ერებისათვის ეროვნული თვითმყოფადობის, ტერიტორიული მთლიანობის, სარწმუნოებისა და ენის შენარჩუნებისთვის ბრძოლას. ყარაბახის კონფლიქტი ახალი დაწყებული იყო, როცა ერთმა ცნობილმა რუსმა პროფესორმა გაკვირვებით მითხრა: „რისთვის იკლავენ თავს ყარაბახისათვის აზერბაიჯანელები და სომხები, ორივენი ხომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არიანო“ (მაშინ საბჭოთა კავშირი დაშლილი არ იყოძ.

არა მხოლოდ რიგითი რუსები, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებიც ცდილობდნენ სხვა ხალხების მიმართ უფროსი ძმის როლის თამაშს. სკკპ ცკ-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ასეთი ფაქტი გვიამბო: ნ. ხრუშჩოვი რუმინეთში ვიზიტის დროს სიტყვით გამოვიდა ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების წინაშე და დაუწყო მათ სწავლება თუ როგორ უნდა მოევლოთ ღორებისთვის. სიტყვის დამთავრების შემდეგ კოოპერატივის ერთმა წევრმა ასეთი კითხვა დაუსვა მომხსენებელს: ერთ კილო საკვებზე რამდენ ნამატს იღებთო. ნ. ხრუშჩოვის პასუხის შემდეგ გაირკვა, რომ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონიათ. ცხადია, ამის შემდეგ რა უხერხული მდგომარეობა შეიქმნებოდა.

ლ. ბერიას სასამართლო პროცესის დაწყებამდე ჩატარდა სკკპ ცკ-ს დახურული პლენუმი, რომელზეც ბერია მიწასთან გაასწორეს. ლ. კაგანოვიჩის ერთ-ერთი ბრალდება ასეთი იყო: მაშინ, როდესაც ამხ. ი. სტალინმა (სტალინის გინება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებულიძ გამარჯვების აღლუმის შემდეგ საზეიმო ბანკეტზე ხაზგასმით აღნიშნა დიდი რუსი ხალხის განსაკუთრებული როლი ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში, ბერიამ თავის სადღეგრძელოში დიდი ადგილი დაუთმო სამამულო ომში საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების დამსახურებას და ამით მათი ეროვნული სიამაყე გაამძაფრაო.

რუსეთის დიპლომატია, რომლის პირველი პირები, ძირითადად, არარუსები იყვნენ, ოდითგანვე ცბიერებით, საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით გამოირჩეოდა. ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონი ალექსანდრე I-ს ცბიერ ბიზანტიელს უწოდებდა, ამიტომ ამბობდა უ. ჩერჩილი, „რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების ფასი იმ ქაღალდის ფასის ტოლია, რაზეც ისინია დაწერილიო“. დიპლომატიაში არის ტერმინი „ჯენტლმენური შეთანხმება“, რაც სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის სიტყვიერ, ოფიციალურად გაუფორმებელ შეთანხმებას გულისხმობს. იგი ხშირად უფრო სანდოა, ვიდრე ქაღალდზე დაწერილი. რუსეთთან ურთიერთობაში, სიტყვიერი კი არა, ათი ბეჭედი რომ ჰქონდეს დასმული, ისეთი ხელშეკრულების ნდობაც კი არ შეიძლება ასი პროცენტით. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია მათთან ურთიერთობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ სურათებს ვიხილავთ ახლა რომ გამოდიან ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები და გაკვირვებით ამბობენ: ეს რა გვიქნეს რუსებმა, შეგვითანხმდნენ და შემდეგ მოგვატყუესო.

ქართველების გარდა სხვა ხალხებიც ხშირად სცდებიან რუსეთის დიპლომატიის ჭეშმარიტი სახის შეცნობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების კონფიდენციალური მუხლები და სხვა სამარცხვინო ფაქტები, ჰიტლერული გერმანიის დამარცხებაში შეტანილი წვლილის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში კომუნისტებს მინისტრის თანამდებობებიც კი უბოძეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს სახელმწიფო ხელისუფლების ძალით დამხობისა და ამ გზით კომუნისტური მმართველობის დამყარების შესაძლებლობის პროპაგანდა, ისინი სულ მალე გამოაბუნძულეს მთავრობებიდან. კომუნისტური პარტიების გავლენა მრავალ ქვეყანაში მკვეთრად დაეცა. ნ. ხრუშჩოვი იძულებული გახდა მარქსიზმ-ლენინიზმი ახალი თეორიული დებულებით „გაემდიდრებინა“. სკკპ XX საუკუნის ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების არამშვიდობიანი და მშვიდობიანი, ანუ პარლამენტური გზის არსებობის შესახებ. გააძლიერეს პროპაგანდა, თითქოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, მარქსისტული ფილოსოფიისა და თეორიული აზროვნების ცენტრში ყოველთვის იდგა სოციალისტური ჰუმანიზმის პრობლემები, ადამიანის, როგორც პიროვნების, მისი სულიერი სამყაროს პრობლემა, თავისუფლებისა და პროგრესის პრობლემები და ა.შ. მაგრამ პრაქტიკაში როგორ ხორციელდებოდა ასეთი ზრუნვა პიროვნებაზე, მის ბუნებრივ უფლებებზე, ბევრს კარგად ახსოვს. პროპაგანდას ძირს თუ არ უმაგრებს რეალურად არსებული ვითარება, ისე მისი შედეგები უმნიშვნელოა.

გორბაჩოვის „პერესტროიკის“ შემდეგაც არაფერი შეცვლილა. რუსეთში პიროვნება ახლაც ისევე ფასობს, როგორც ნიკოლოზ I-ის დროს.

რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა ცბიერების, ორპირობის, არაგულწრფელობის მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. მათი ასეთი ქცევა არის მოცემულობა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, გავითვალისწინოთ და არ ვეცადოთ მათ გამოსწორებას, გაკეთილშობილებას, რადგან ამ მცდელობიდან არაფერი არ გამოვა.

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

**ვაჟა თვალავაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 168.**

ძახილი

# ქართველებო, გონს მოვეგოთ!

**ეს წერილი კარგა ხნის წინათ დავწერე და სწორედ მაშინ, რედაქციაში გამოგზავნა რომ დავაპირე, თავს დაგვატყდა დიდი უბედურება. რუსმა ოკუპანტებმა ლამის მიწის პირთან გაასწორეს შიდა ქართლი, არც თავიანთი გადამრჩენელის — სტალინის ნააკვნარი დაინდეს, ამის შემდეგ რა უნდა ილაპარაკო მათზე, მაგრამ...**

რუსული ფაშიზმის შედეგზე კიდევ ბევრ და დიდხანს უნდა ვიფიქრ-ვილაპარაკოთ, მაგრამ ახლა დამცირებულ-გაპარტახებული ჩვენი ერის ფეხზე წამოდგომისთვის, თაობათა გაძლიერება-გამრავლებისთვის გაორმაგებული კი არა, გაათმაგებული სულისკვეთებით უნდა ვიბრძოლოთ.

კი, იყვნენ ჯალალედინი, მურვან ყრუ, თემურ ლენგი და სხვანი და სხვანი, მაგრამ ახლა პუტინია — XXI საუკუნის „ფენომენი“, ქართველთა დაუძინებელი მტერი და ჯალათი. თუ წინა დამპყრობლების ჟამს საქართველო ძირითადად მთებსა და პერიფერიებში მრავლობდა, დღეს ჩვენი უგუნური ხელისუფლების წყალობით, სოფლები დაცარიელებულია. სოფელი ვერ გაამრავლებს და გააძლიერებს საქართველოს ისე, როგორც ეს წინა საუკუნეებში ხდებოდა და, შესაბამისად, მთავრობას აწევს დიდი მოვალეობა, გაცილებით მეტი, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს წარმოუდგენია.

რაც მოხდა, ამას ისტორია განსჯის, მაგრამ თუნდაც რამდენიმე ასეული დაღუპული ახალგაზრდით ხომ იმდენივე ქართული ოჯახი დაეკარგა ქვეყანას, რომლის გენოფონდი ისედაც სულს ღაფავს? ერს ისედაც გამრავლება სჭირდება, თუნდაც იმ დაღუპული გმირების სადიდებლად, მათი მომავლის ცოცხალ ძეგლებად, თორემ მათს საფლავებზე დადგმული ქვის ძეგლები ბევრს აღარას გვარგებს. სულ გავნადგურდებით, აღვიგვებით პირისაგან მიწისა.

იქნებ ვილაცამ თქვას, რა დროს ეგაა, ქვეყანა თავზე გვექცევა, ათასობით ლტოლვილი, გადამწვარი და დაცლილი სოფლები, მიუსაფარი ადამიანებით გადაჭედილი ქალაქები და სხვა უამრავი უბედურება. სწორედ ახლა, როგორც არასდროს, უნდა ვიზრუნოთ ერის გადარჩენაზე და ამ გადარჩენის ერთ-ერთ, შესაძლოა ყველაზე რეალურ გზად მისი გენოფონდის გაჯანსაღებაზე ზრუნვა მიმაჩნია.

ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც ამ ძნელბედობის ჟამს ქართველი ხალხი ასე ერთსულოვნად დაუდგა მხარში, უნდა მიხვდეს, რომ სხვა ვერავინ გადაარჩენს ქვეყანას თუ არა თავად ერი და თითოეული რიგითი ადამიანი და რომ მათ მიმართ გულისხმიერება საჭირო და არა ქირქილი ან დაცინვა, უაზრო ტაშფანდურები, თუნდაც გზები, შადრევნები და უცხოელი ჯაზმენებისთვის გადახდილი მილიონები, ნუთუ ამას ვერ აცნობიერებენ, ნუთუ საკუთარი პიარისთვის ამხელა სიბრიყვეს სჩადიან?

დღეს ქართველ დედებს უნდა ვცეთ თაყვანი, რათა ერი გადარჩეს.

ახლახან ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ სოფელში სტუმრად მოვხვდი. თუ არ ვცდები, საბაანთკარი ჰქვია. პატარა სოფელია, სულ რაღაც 47 კომლი.

ევროპის მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, ვიეტნამი ხომ სასწაულია თავისი თვალწარმტაცი ხეობებით, მაგრამ ამ ჩიტის ბუდესავით მოქარგული ხეობის სადარი მაინც არაფერი მინახავს. ფიჭვებისა და ნაძვების, მურყნებისა და კაკლების, მუხებისა და წიფლების კორომებს შორის ანკარა წყაროები მოჩუხჩუხებს. ამ ხეობაში ხომ თითქმის ყველა სოფელი ასეთი მშვენიერია.

იხ. 9 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი თავს ნებას არ მისცემს, უსიტყვოდ დაუჭიროს მხარი სააკაშვილს

***გერმანული პრესა ვრცელ კომენტარებს უკეთებს ევროკავშირის თავმჯდომარის, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეხვედრას მოსკოვში.***



**გაზეთი „ზიუდოიჩე ცაიტუნგი“ წერს:**

იმ დროს, როდესაც რუსეთის ურთიერთობებში დასავლეთთან იზრდება დაძაბულობა, ევროკავშირმა მოულოდნელად მიიღო ჭკვიანური გადაწყვეტილება. ევროკავშირი მოითხოვს საქართველოში ომის ვითარებათა საერთაშორისო გამოკვლევის მოწყობას.

რასაკვირველია, ასეთი გამოკვლევა, ალბათ, ვერ გამოავლენს ერთმნიშვნელოვან დადასტურებას ბრალისა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლო პროცესში. მიუხედავად ამისა, ეს გზა სწორია, ვინაიდან ნდობას იმსახურებს, რომ შუამავლად შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც მზად არის მოუსმინოს ორივე მხარეს.

შუამავლობა კი სურთ და უნდა იყვნენ კიდეც ევროპელები. ამავე დროს სარკოზის არ მოუწევს თავის დაცვა ბრალდებისაგან იმის შესახებ, რომ იგი მოსკოვში ჩავიდა დიმიტრი მედვედევთან შესახვედრად საქართველოს აგენტის სახით.

ევროპა დაინტერესებულია ამ გამოკვლევის მოწყობაში. ევროკავშირს მხოლოდ მაშინ შეუძლია კვლავ გახადოს თავისი ურთიერთობა რუსეთთან და საქართველოსთან სტაბილური, როდესაც ევროპელებისათვის გახდება ცნობილი, კერძოდ ვინ და რა მიზეზით მოახდინა კონფლიქტის ინიციირება. ერთი სიტყვით, უნდა გავიგოთ, თუ ვისთან გვაქვს, კერძოდ, საქმე.

ომის დაწყებიდან მალე ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ იმპერიული რუსეთი თავს დაესხა საცოდავ საქართველოს, უკვე ველარ უძლებს კრიტიკას. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს არმიის გენერალური შტაბი გამოდიოდა სამხრეთ ოსეთში სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ. ქართველ ხალხს უნდა დავეხმაროთ, თუმცა ევროკავშირს არ შეუძლია თავს ნება მისცეს, უსიტყვოდ იყოს სოლიდარული საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან.

**თემას აგრძელებს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემეინე“:**

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ისევე როგორც ევროკავშირი, კრემლში პუტინის კაცთან შეხვედრის დროს თავს არ მოიტყუებს და მისი კრიზისული მართვა გასცდება მშფოთვარე საქმიანობის ჩარჩოებს, თუნდაც ეს საქმიანობა ნაკარნახევი იყოს მეტად კეთილი სურვილებით.

სარკოზის პირველი ვიზიტის დროს, როდესაც რუსეთის კარნახით შეიქმნა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების ექვსპუნქტიანი გეგმა, რუსეთს ფაქტობრივად უფლება მიანიჭეს შეექმნა საქართველოში ბუფერული ზონები. ამის ნეგატიური შედეგები კარგად ჩანს დღეს. ბუნდესტაგის დეპუტატი ბეკი აღწერს მომხდარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ზონების მიღმა შემდეგი სიტყვებით: „ძალდატანებითი გადასახლება რუსი ჯარისკაცების მეთვალყურეობის ქვეშ“.

რუსეთის ჯარებმა დროა დატოვონ საქართველო – ამ პუნქტში სარკოზი არ უნდა წავიდეს დათმობაზე. მან თავად კარგად იცის, რომ შექმნილ ვითარებაში მას არ აქვს უფლება კიდევ ერთხელ წარმოთქვას შენიშვნა იმის შესახებ, რომ რუსეთის მხრიდან ბუნებრივია მხოლოდ რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დაცვა რუსეთის ფარგლებს გარეთ. ევროპის ხელმძღვანელობას არ აქვს უფლება გასცეს ლიცენზია ინტერვენციაზე, რისი საბაბიც შეკერილია თეთრი ძაფით.

Boston Herald.com

# აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ცალმხრივი ზომების იდეაზე უარი თქვა

**ბუშის ადმინისტრაციამ ხანგრძლივი საშინაო დებატების შემდეგ გადაწყვიტა არ მიიღოს უშუალო სადამსჯელო ზომები რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსთან მისი კონფლიქტის გამო.** ადმინისტრაცია მივიდა დასკვნამდე, რომ ცალმხრივი მოქმედებით მას ზეგავლენის ნაკლები ბერკეტები ექნებოდა ხელთ და უფრო ეფექტიანი ვარიანტია – მიაღწიოს რუსეთის მრავალხმიან კრიტიკას საერთაშორისო არენაზე ევროპის მეთაურობით.

როგორც ამასწინანდელ ინტერვიუში აღნიშნავდნენ ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი წარმომადგენლები, თეთრმა სახლმა გადაწყვიტა, რომ ამერიკელთა სადამსჯელო ზომები ეკონომიკური სანქციების სახით ან რუსეთის დაუშვებლობა მსოფლიო მასშტაბის სავაჭრო ორგანიზაციებში, მას უკან დაუბრუნდება: რუსეთის დუმილი უფრო გაძლიერდება, კრემლი კი შეძლებს შეამციროს რეგიონალური და გლობალური შედეგები საქართველოში შეჭრის შედეგად ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ძველმოდური დავის ჩარჩოებამდე.

ადმინისტრაციამ გამოთქვა მწუხარება იმის გამო, რომ ევროკავშირს არ შეუძლია მიიღოს უფრო მკაცრი ზომები, ვიდრე დუნე განცხადებები რუსეთის მოქმედებათა კრიტიკით. მიუხედავად ამისა, თეთრ სახლში განმარტავენ, რომ ერთიანი ფრონტის ნარჩენებსაც კი აქვთ თავისი უპირატესობანი და, მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატები გამოიჩენს წინდახედულებას და დათანხმდება უფრო მსუბუქ მიდგომას, რაზეც მოგვიწოდებენ იტალია და გერმანია სხვა მოკავშირეებთან ერთად.

ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი უპირატესობას ანიჭებს რეაქციას იმის შესაბამისად, რომ მოსკოვი, ალბათ, ვარაუდობს თავს მოახვიოს თავისი ნება დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც მის საზღვართანაა. მათი აზრით, კრემლი აცნობებს უკრაინას, ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს, რომ დაუბრუნდა რეგიონალური ჰეგემონიისათვის ბრძოლის არენას. ეს ძალები ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ კრემლის მოწოლა უნდა შევაჩეროთ.

მაგალითად, კონფლიქტის პირველ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ გამოთქვა ადმინისტრაციის „მაღალშუბლიანი“ წევრების აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის შეტევითი ოპერაცია ამართლებს მათს სკეპტიკურ დამოკიდებულებას მისადმი, ე.ი. რუსეთისადმი და კურსს, რომელიც არ ტოვებს კრემლის მოქმედებას „უპასუხოდ“. უფრო მოგვიანებულ გამონათქვამებში ჩეინი იცავს ადმინისტრაციის ახალ პოზიციას, რომელიც ამჟამად ყალიბდება: უფრო ზუსტად შემოწმებულ საპასუხო მოქმედებათა იდეას.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ადმინისტრაცია მივიდა ერთსულოვან პოზიციამდე, აღიარა, რომ საჭიროა „ხანგრძლივი სტრატეგიული მიდგომა და არა ტაქტიკური საპასუხო მოქმედებანი, რომლებსაც ექნებოდათ ნეგატიური შედეგები სტრატეგიულ სფეროში“.



გეიტსმა, გამოცდილმა კრემლენოლოგმა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა წარსულში, აღნიშნა: „ჩვენ ერთსულოვნად მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ მჭიდრო თანამშრომლობა ევროპელებთან და სხვა ქვეყნებთან. მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს დრო საგულდაგულოდ, ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი საპასუხო მოქმედებანი. მიმაჩნია, რომ ჩვენ მოვილაპარაკეთ, არ მივმართოთ აჩქარებულ ნაბიჯებს. მაგრამ არის საერთო აზრიც, რომ მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის“.

ახალი სტრატეგიის შესაბამისად, პრეზიდენტმა ბუშმა ორშაბათს კონგრესს აცნობა, რომ „ამასწინანდელი ნაბიჯებით“ რუსეთს უკან გააქვს ადრე წარმოდგენილი შეთანხმება სამოქალაქო ატომური ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მან და ვლადიმერ პუტინმა დასდეს აპრილში მოლაპარაკებათა რამდენიმე წლის შემდეგ. ეს ჟესტი აღმოჩნდა ყველაზე შინაარსიანი გამოხატულება ამერიკის მხარის უკმაყოფილებისა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა სამხედრო ძალა. ამ დროს ეს იყო უფრო ფრთხილი რეაქციის გამოხატულება.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ რუსეთთან, გახდა აგრეთვე საარჩევნო კამპანიის ფაქტორიც. სენატორი ჯონ მაკკეინი, რესპუბლიკელების კანდიდატი, უკვე დიდი ხანია მოუწოდებს გარიცხონ რუსეთი „დიდი რვიანიდან“; იგი მოითხოვს უფრო მკაცრ საპასუხო ზომებს. სენატორმა ბარაკ ობამამ, კანდიდატმა დემოკრატებისაგან, გააკრიტიკა კრემლის გადაწყვეტილება, შევიდეს საქართველოში, მაგრამ მკაფიოდაც აგრძნობინა, რომ გამოდის კონტაქტების გაფართოების მხარდამჭერად.

ამერიკის შეერთებული შტატები ერიდება სადამსჯელო ზომების გამოყენებას რუსეთთან ურთიერთობაში, მაგრამ ამავე დროს ენერგიულად უჭერს მხარს საქართველოს: მაგალითად, გასულ კვირას ბუშმა წამოაყენა წინადადება, გაუწიონ ამ ქვეყანას ეკონომიკური დახმარება ერთი მილიარდი დოლარის საერთო ოდენობით. ეს ასიგნებანი, ოფიციალური პირების სიტყვებით, დაეხმარება საქართველოს ეკონომიკას და განამტკიცებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ პოზიციებს, რომელიც აღმოჩნდა რესპუბლიკის ლიდერის რთულ მდგომარეობაში.

მთლიანად ადმინისტრაციის სტრატეგია ასახავს სურვილს, დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი ახალგაზრდა დემოკრატიის სიმბოლოს როლი, ამ დროს არ გამოირიცხოს რუსეთთან თანამშრომლობა მთელ რიგ საკითხებში, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროებისათვის, მათ შორის, ტერორიზმთან ბრძოლის, ბირთვული იარაღის გავრცელებისა და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში.

მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს რჩებათ მთელი რიგი საერთო ინტერესები ეროვნული უშიშროების სფეროში, მაგრამ, როგორც გეიტსმა აღნიშნა, „ჩვენ მაინც გვინდა დავინახოთ, რომ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის დარგში რუსეთი მიდის უფრო კონსტრუქციული პარტნიორის როლისკენ თანამშრომლობაში და „არ ყრის საჭმელს იატაკზე“, როგორც ჭირვეული ბავშვი.

ბუშის ადმინისტრაციაში 7 აგვისტოდან, როდესაც დაიწყო სამხედრო მოქმედებები საქართველოში, გაიმართა პოლიტიკური კურსის ძირითადი ავტორების რამდენიმე თათბირი კაბინეტის დონეზე. უკანასკნელი გაიმართა უშუალოდ ვიზიტის წინა დღეს, როდესაც ჩეინიმ გასულ კვირას მოინახულა შესაბამისი რეგიონი.

ვიცე-პრეზიდენტი იმყოფებოდა აზერბაიჯანში, საქართველოსა და უკრაინაში, სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში რუსეთის საზღვრების პერიმეტრზე. მთელი გასული კვირის განმავლობაში ჩეინი ლაპარაკობდა რუსეთის შესახებ მკაცრად, მაგრამ მანაც არ გამორიცხა ურთიერთობათა მოწესრიგების შესაძლებლობა. მისი სიტყვებით, რუსმა ლიდერებმა თავად უნდა აირჩიონ, თუ როგორი ურთიერთობა ექნებათ მათ ამერიკასთან მომავალში.

რომში, სადაც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ორშაბათს შეხვდა იტალიის ოფიციალურ პირებს, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა: „ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე: უნდა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენ შევამჭიდროვდეთ ერთიანი პოლიტიკის შესამუშავებლად. ამ პოლიტიკას შეუძლია მხარი დაუჭიროს თითოეულმა ჩვენგანმა“.

**ტომ შენკერი,**
**სტივენ ლი მაიერსი**

The New York Times

## გულის ბუხარი

(მესამე გვერდიდან)

# რუსული საეთნოდივერსიო მანქანა კი სვლას უმატებს!



დიახ, ასეთი რამ დღემდე სახელმძღვანელოდ მიაჩნიათ სამეგრელოში, ხოლო რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" გაკუთხურებულ კარშემორაგვას, მას რომ ეს იმგვარად ეთქვა, როგორც სამეგრელოს სასულიერო და საერო საზოგადოებამ ატეხა მაშინ განგაში, როცა რუსებმა ქართული წირვა-ლოცვის გაძევება მოინდომეს ამ მხარეში, ხმას არ ამოიღებდა არავინ. მით უმეტეს, რომ ამ მხარის სახალხო ცნობიერება, ისევე როგორც დანარჩენი საქართველო, რუსთაველისეულ სულიერებაში აზროვნებს.

იმხანად მ.ლებანიძეს სამართლიანად მიუთითეს, რომ, სამწუხაროდ, ამ ლექსში ავტორმა მეგრულ რაგადში ვერ დალანდა დედოქართულის საძირკველი და მისი თითისძნევა კინაღამ იმ სულისკვეთებისა იყო, როგორითაც 1992-93 წლებში სამეგრელოს აოხრებდნენ უგუნური „მოყვარეები". სხვათა შორის, ისინი საბრძოლო ჰიმნად სწორედ პირადად ჩემთვის და ყველა მეგრელისთვის პატივსაგები ლექსის მათ მიერ გაუკუღმართებულ სტრიქონს – **„სამეგრელოს გარდაო",** გაჰკიოდნენ. სამწუხაროდ, ამაზე მ. ლებანიძეს მაშინ ხმაც არ ამოუღია, იქნებ ვიკითხოთ, რატომ?

არ მინდა შორსმიმავალი დასკვნები გავაკეთო, მაგრამ ამ ბოლო დროს გაზეთ „ქრონიკის" მიერ ნომრიდან ნომრამდე გაშუქებული „მეგრული საკითხი", ნებით თუ უნებლიეთ, ღმერთმა ქნას შემთხვევით, მაგრამ ზუსტად იმ კითხვარებზეა აგებული, რომელთაც რუსეთის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ე.წ.სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ამზადებს რუსული საეთნოდივერსიო სამსახურებისთვის.

სანამ ამ წერილს გამოვაქვეყნებდი, ხსენებულ გაზეთში „მეგრულ საკითხებზე" მომუშავე ავტორებს შევთავაზე სამეგრელოს საჩინო და ამ მხრივ კომპეტენტური საზოგადო მოღვაწეების ახსნა-განმარტებები, რაც, თუ მათ გულწრფელად აწუხებთ ამ მხარის პარტახი, უნდა გაეთვალისწინებინათ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ცნობისთვის: ზემოხსენებული ე. წ. ინსტიტუტი, აი, როგორ განმარტავს უძველესი ქართულის ნიმუშს-სვანურ რაგადს: ÑÂÀÍÛ - îäíà èç ýòíè÷åñêèõ ãðóïï êàâêàçñêèõ íàðîäîâ (შეხეთ ვირეშმაკობას, სვანური კავკასიური იმდენადაა, რამდენადაც ის პირველ რიგში ქართული შინაარსისააძ Ïðîæèâàþò íà òåððèòîðèè Çàïàäíîé Ãðóçèè è Êîäîðñêîãî óùåëüÿ Àáõàçèè (ის, რომ სვანები განსახლებული იყვნენ ყუბანის გასწვრივაც, რომელიც ახლა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა, მიჩქმალულიაძ. ×èñëåííîñòü - îêîëî 60 òûñÿ÷ ÷åëîâåê. Çàíèìàþòñÿ ïðåèìóùåñòâåííî ñêîòîâîäñòâîì è çåìëåäåëèåì. Ãîâîðÿò íà ñâàíñêîì ÿçûêå, à òàêæå âëàäåþò ãðóçèíñêèì è ðóññêèì. (ერიჰა, თურმე სვანისათვის რუსულიც ისეთივე „მშობლიურია", როგორც ქართული! („Êîìñîìîëüñêàÿ Ïðàâäà", 02.09.2008 ã.ძ

როგორც ჩანს, გ. ზედელაშვილს აწუხებს არა ქართული სულიერი გაერთსხეულება დროსა და სივრცეში, არამედ სახაზინო ზედამხედველობა საქართველოს სსრ ფარგლებში.

ამიტომაც, როდესაც ის ამბობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაო, ქართული გონითი სივრცის აღორძინებას კი არ გულისხმობს პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციურ სამყაროში, არამედ ებღაუჭება აგრესიული გლობალიზმის მიერ მოზომილი „კორიდორის" ვერმოქართულე ცენტრ-ნაცმენურ შინაარსს.

ასე და ამრიგად, ჭკვიან მტერს და უგუნურ მოყვარესაც – ორივეს ერთნაირად სურს, ქართველ ერს აართვას ნაირსახეობათა იგივეობის (იდენტურობისძ ცნობიერება და ისინი საწყის რეგლამენტში დაადგინოს მსგავსების ცნობიერებაში. მსგავსება არ არის იგივეობა, ამიტომ მსგავსებიდან ქართულ მხარეთა „სხვადასხვაობის" დადგენა მხოლოდ ხელმარჯვეობის საქმეა.

ამავე გაზეთში პოლიტოლოგმა რამაზ კლიმიაშვილმა რომელსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, მისივე ჭკუის ყურისმგდებელი საკმაოდ ჰყავს, მგლოვიარე საქართველოში დრო მონახა და ცილისწამებებით გამოჭენდა. მას თანამოსაუბრედ ამჯერადაც გელა ზედელაშვილი ჰყავს:

– „მოვლენები ძალიან საინტერესოდ ვითარდება, მთელი სამეგრელო ოკუპირებულია და სხვა რეგიონებს თითქოს არაფერს ერჩიან. საქმე ისე მიდის, არ მინდა ბევრ რამეზე ვიფიქრო, მაგრამ რამდენიმე ვერსია მაინც უნდა გავთვალოთ: მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ რუსები მეგრელებსა და აჭარლებს ქართველებად არ თვლიან, სხვათა შორის, არებობს ერთი სენსაციური წერილი, რომელიც ზვიად გამსახურდიამ 1993 წელს გროზნოდან გამოგზავნა. იმ პერიოდში ეს წერილი ყველგან გამოქვეყნდა. ერთხელ საჯაროდ ვახსენე, მაგრამ გამსახურდიას მომხრეებს ისტერიკა დაემართათ. სათაურს გეტყვით: „ახალი კოლხური სახელმწიფოს შექმნა". ამ ახალ სახელმწიფოში უნდა შესულიყო აფხაზეთი, სამეგრელო და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, თურქეთის გამგებლობაში მოქცეული ლაზეთი.

**კორ.: – თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა რუსები ამ სცენარით მიდიან?**

– შეიძლება გამსახურდია ამ გზით საქართველოს გამთლიანებას, ანუ აფხაზეთის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ფაქტია, ასეთი გეგმა დღესაც არსებობს. ახლა რუსები ამ სქემას პირველ ნაწილში მიჰყვებიან – თუკი სამეგრელო და აფხაზეთი გაერთიანდა, მომავალში საქართველოს არც ერთი არ დაუბრუნდება.

**კორ.: – დავიჯერო რუსები ასე შორს წავლენ?**

– მე ერთხელ უკვე გითხარით: რუსებმა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ გამოაქვეყნეს გეგმა, საქართველო 1801 წლის მდგომარეობაში უნდა დავტოვოთო. გაუგებარი რამ ხდება, რუსები არც სამტრედიაში შესულან, არც გურიაში... მართალია, ბოლო დღეებში მეგრელებზე ათასნაირი ჭორი გავრცელდა, თითქოს სპეციალურად დადიოდნენ, რაღაცეებს ჰპირდებოდნენ, მაგრამ არა მგონია, მოსახლეობა რაიმე პროვოკაციაზე წამოეგოს, ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, რომ ასე იყოს.

**კორ: – არა მგონია, რუსებს ზვიად გამსახურდიას წერილი ეჭიროთ ხელში და ამით ხელმძღვანელობდნენ, შეიძლება გამყიდველ ქართველებს აქვთ რაღაც გეგმა."**

(გაზეთი „ქრონიკა", 2008წ. 25-31 აგვისტოძ.

ტყუილია, დროსა და სივრცეში ასეთი წერილი, ანუ ხმაბოდვა არ არსებობს!

„ბოლო დღეებში" მე არ ვიცი, კიდევ რა ჭორები გავრცელდა მეგრელებზე რამაზ კლიმიაშვილისნაირთა ძალისხმევით, მაგრამ ვიცი მთავარი – თუ რა ხერხებით, ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობს რუსეთიც და აგრესიული გლობალიზმიც სამეგრელოს გადაქცევას საეთნოდივერსიო პოლიგონად და ყოველივე ამის ხელმიშველება ცრუთბილისური წინდაუხედაობითაც (რომ არ ვთქვა სეპარატიზმითაცძ ხდება, ამ მარაქაში გელა ზედელაშვილიცა და რამაზ კლიმიაშვილიც ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში.

რამაზ კლიმიაშვილი ამავე ლადავში ამტკიცებს, რომ საქართველოსთვის „უდიდესი საფრთხე" ჩეჩნების არსებობააო. ესეც ჭეშმარიტების გათელვაა, – ჩეჩენზე მეტმა ქართველმა გვიმუხთლა ამ ბოლო დღეებში რუსეთთან ომში. რაც შეეხება პანკისს, იგი ქართველი „ნამესტნიკების", დიახ, რუსეთის მეგზური მოხელისეების ძალისხმევით გახდა საეთნოდივერსიო საამქრო, სადაც ეთნონედლეულად გამოიყენება ჩეჩენიც (ქისტიცძ და ქართველიც. ამით რუსეთი ახშობს პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის აღორძინებას თავის ვინაობასა და გენეტიკურ მეხსიერებაში (ამ დღეებში ქართველებს სწორედ ვაინახები დაუდგნენ გვერდითძ.

**სერგი საჯაია,**
**მწერალი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი**

**(გაგრძელება იქნება)**

## ძახილი

(მეშვიდე გვერდიდან)

# ქართველებო, გონს მოვეგოთ!

ყველაზე მეტად რამაც გამაოცა, ქუჩაში თუ შუკაში რომ გავივლიდი, ბავშვების სიმრავლე იყო. ჩემი სიხარული რომ მასპინძელს გავუზიარე, აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, ასე რომ მრავლობთ-მეთქი, – ეგენი სტუმრები არიან, აქ ზაფხულობით ისვენებენ, ერთ-ორ თვეში ისევ გაიკრიფებიან... – ჩემს ოპტიმიზმს ცივი წყალი გადაასხა მისმა გულგატეხილობამ.

– მეზობელ სოფლებში-მეთქი? არ შევეშვი.

– ქვიშხეთში ერთი სკოლაა, იქ დაგვიდის თითოკინკილა, აბა სოფლად დღეს ვილა ჩერდება, აქ საკურორტოდ იტოვებენ მამა-პაპეულ სახლ-კარს. ან რა უნდა ქნან, სამუშაო არ არის და...

არადა, ოდითგანვე სოფელი იყო ქვეყნის სიმრავლის, სიძლიერის აკვანი. სოფელი ამაგრებდა მამულის ციხე-ბურჯებს, თორემ თბილისი, ერთი დიდი მწერლისა არ იყოს, ყოველთვის იყო საქართველოს მოშლილი კუჭი...

ამას წინათ რუსთავის ერთ-ერთი წარმატებული სკოლის დირექტორის მოადგილე შემხვდა, შეშფოთებით შემომჩივლა, პირველ კლასებს ვერ ვაკომპლექტებთო. არადა, სხვა დროს სამი-ოთხი პარალელური ჯგუფი ჰყავდათ. იქ მოსახვედრადაც კონკურსს მართავდნენ.

ამ ორიოდე თვის წინათ ტელევიზიის ეკრანიდან მოვკარი ყური, მარტო საბერძნეთში 700 თუ 750 ათასი (კარგად არ მახსოვსძ ქართველიაო. რუსეთი ხომ ქართველებითაა გამოძეძგილი და ჩვენი უსაყვარლესი ძმებიც კი, უკრაინელები, აქეთ ერეკებიან ქართველებს.

ეს ყველამ იცის. ჩემმა ახლობელმა, იტალიაში სხვის ჩვილ ბავშვს რომ ზრდის, ინტერნეტში საუბრისას მითხრა, რომ მარტო ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქ მარტაში 550 ქუთაისელი ქალია...

საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში, ესპანეთში, კანადაში, ავსტრალიაშიც კი არიან გადახვეწილი ჩვენებურები. რა ქნან, აქ სამუშაო არ აქვთ (ჩვენი ხელისუფლების ხელში არც ექნებათძ, ოჯახები და საკუთარი თავი ხომ უნდა გადაირჩინონ?

1989 წლის აღწერით საქართველოში 5 მილიონ ნახევარზე ცოტა მეტი ადამიანი ცხოვრობდა. აქედან ქართველი 3 მლნ. 664 ათასი იყო. მერე რაც მოხდა, ამის გახსენება ჯოჯოხეთია. აფხაზეთი, ცხინვალი და...ნგრევა. მოგუგუნე ფაბრიკა-ქარხნები ჯართად ხომ გაიყიდა და დაჩალავდა. ხალხი დარჩა უსახსროდ და უიმედოდ. სამაგიეროდ, ყველგან ისევ რესტორნები შენდება, სწორედ ისე, დიდი ვაჟა რომ ბრძანებს, ქვეყანა იქცა დუქნადაო... წარმომიდგენია დიდი პოეტის საწუხარი ახლა, დუქნები ცათამბჯენებად რომ გვეჩხირება ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში და ყველა მათგანი რომ გამოტენილია მოქეიფე-მოარხეინე ჩვენებურებით.

თავის დროზე რომის იმპერია ამგვარ გულარხეინთა მომრავლებამ, აღვირახსნილობამ, გარყვნილებამ დაანგრია. და განა მარტო ის!

მე მაინც მაინტერესებს, საქართველოში დღეს რამდენი ქართველი დარჩა. კი, მიტინგებზე გამოდიოდნენ ასი ათასები, სამასი ათასიც კი იყო ჰიპოდრომზე, მაგრამ...

გვიწინასწარმეტყველებენ, თუ ასე გაგრძელდა, 2025 წლისთვის უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ესლკი, დათვალეს და გამოთვალეს თურმე და ისე დაასკვნეს, მაგრამ ამას რა დათვლა სჭირდება! აბა, გადაიხედეთ მრავალსართულიანი სახლების ფანჯრებიდან ეზოებში და ნახეთ რამდენი ქართველი მოზარდი დაკინკილაობს, ორიოდე, ლამის ერთი სოფლისოდენა კორპუსების სამომავლოდ.

პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნების წინათ გვაყარა თვალში ნაცარი, აი ამას ვიზამ, ამგვარად გავირჯები, ასე დაგილგებით მხარში, ისე ვიზრუნებ თქვენს გამრავლებაზეო, მაგრამ მხოლოდ ნეტარხსენებულმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა შესთავაზა ერს გამრავლების რეალური გეგმა და მხარდაჭერა. ალბათ ამიტომაც გაისტუმრეს ამა სოფლიდან! ვინ იცის.

ჩაიარა არჩევნებმა, კვლავ გაჯეჯილდნენ ნაციონალები და ერი ვილას ახსოვს.

მეტი ბავშვის გაჩენა კი არა, რაცა ჰყავთ, იმათი რჩენაც ერთი ათად გაჭირდა. ყოველდღე კი არა, ლამის ყოველ საათს მატულობს ფასები პირველი მოხმარების პროდუქტებზე და სხვა ყველაფერზეც. მაღაზიებს ცეცხლი ეკიდება. ახლა ზაფხულია, ჩვენი მიწის მადლი ასე თუ ისე გვაძლიერებს, მაგრამ სოფლიდან როგორ მოგვაწვდიან, როდესაც ბენზინს კი არა დიზელსაც უკვე ,,ნიგვზის ფასი" დაედო. მსოფლიო ბაზარზე კი დაეცა ნავთობის ფასი, მაგრამ ეგ ჩვენებური ბიზნესმენების ჯიბის სასარგებლოდ და არა უბრალო მომხმარებლისა.

ერთადერთი იმედი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა. მისი ნათლულების რიცხვი იზრდება, ეკლესიის ამაგიც მატულობს მრევლზე, მაგრამ საქართველოს ერთი ნათლია უშველის?

რუსთავში, საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში ათეული წლების წინათ 160 ათასი მცხოვრებით რომ იწონებდა თავს, ხუთასზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახი იყო. ახლა მხოლოდ მამა სერგის ვიცნობ, რვა შვილი რომ ჰყავს და თურმე მეცხრესაც ელოდება. კიდევ ჩემი შვილის მეგობარს, 6 შვილის მამას, თუმცა ეს ახალგაზრდა კაცი სამუშაოს ვერ შოულობს. **იმედი მაქვს, ქალაქის ახალი მერი მამუკა ჩიქოვანი, რომელიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, ამ ახალგაზრდის გასაჭირს ყურად იღებს და არც ქალაქის დემოგრაფიულ პრობლემებს დატოვებს უყურადღებოდ.**

რა გვჭირს, ხალხო, გაიღვიძეთ ქართველებო, მოდით ერთმანეთი გადავითვალოთ და გულებში ჩავიხედოთ... ბიზნესმენებო, მარტო ბიძინა ივანიშვილის ხომ არაა ეს ქვეყანა? ამ ღვთისნიერ კაცსაც ისე შევუჩნდით და არ ვაყენებთ, თითქოს სხვა საქმე და სადარდელი არა დაგვრჩენოდეს მამულში. თქვენ ვისთვის გემეტებათ ეს საღვთო მიწაწყალი. თქვენი გულმხურვალე სადღეგრძელოები, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით რომ ქარგავთ და მაღალ ტრიბუნასაც ისე ეშურებით, თითქოს ბავშვობიდან იქა მჯდარხართ, რისი მაქნისია, რა მოაქვს? ან სრა-სასახლეები, თქვენი მილიონები რა ოხრად გინდათ, ოხრადაც დაგრჩებათ, თუ ერი ვერ გამრავლდა. სულ მალე მას უცხოელი, სხვა ჯიშისა და ჯილაგის გადამთიელი დაეპატრონება, თუ უკვე არ დაპატრონებია.

და ბოლოს, რა ვუშველოთ იმ ნახევარ მილიონ გასათხოვარ ქართველ ქალს, მომავალ ქართველ დედას, ნუთუ ისინიც უცხოეთში გადავხვეწოთ ვილაც მიხრწნილი ბებრების მომვლელებად ან სხვათა შვილების აღმზრდელებად და იქ დავაკარგვინოთ ყველაზე საუკეთესო, ახალგაზრდული წლები?

**ქართველებო, გონს მოვეგოთ, ერთად დავდგეთ ერის სადარაჯოზე, გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი მომავალი!**

**გივი ჯახუა**

ფეხბურთი

# ქვა აღმართში დაგვეწია

**დღეს, 22 საათსა და 45 წუთზე „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შემოგვთავაზებს პირდაპირ ტელერეპორტაჟს უდინეს „ფრიულის" სტადიონიდან, სადაც „მუნდიალ-2010"-ის შესარჩევი რაუნდის II ტურის შეხვედრაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები „ჯვაროსნებს" უმასპინძლებს.**



მართალია, „სკუადრა აძურას" თავკაც მარჩელო ლიპის გატუზოს, გროსოსა და გამბერინის ტრავმებმა საფიქრალი მოუმრავლა, მაგრამ მის თავსატეხთან შედარებით ჰექტორ რაულ კუპერის საკადრო პრობლემები, ალბათ, გაცილებით გადაუჭრელად უნდა შევაფასოთ.

განგაშის პირველმა ზარმა ირლანდიასთან სასტარტო მატჩის დასრულებისთანავე ჩამოკრა, როცა ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშზე უარი დაცვის ერთ-ერთმა ბურჯმა მალხაზ ასათიანმა განაცხადა. იგი, მოგეხსენებათ, ბრძოლაში 75-ე წუთზე ჩაება, რაც, რა დიდი მიხვედრა უნდა, იუკადრისა კიდეც. ალბათ, სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ ეროვნულ ნაკრებთან „ასკას" გაყრის ჭეშმარიტ მიზეზად და არა ის, რომელიც სფფ პრესსამსახურმა გაავრცელა, თითქოსდა მას თავისი ახალი კლუბის კიევის „დინამოს" ზანაკში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ბატალიებისთვის უკეთ მომზადების მიზნით გადაედგას ასეთი ნაბიჯი.

გუშინ კიდევ ერთი დანაკლისის შესახებ შევიტყვეთ – მუხლის ტრავმის გამო პარტნიორებს მეორე წამყვანი უკანახაზელი ზურაბ ხიზანიშვილიც ვერ დაეხმარება.

შექმნილი ფორსმაჟორული ვითარების მიუხედავად, ჩვენებურთა არგენტინელი დამრიგებელი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს: „ჩვენს ჯგუფში თანაბარი ძალის მეტოქენი არიან თავმოყრილნი და წინ არაერთი სიურპრიზი გველის. სწორედ ეს მაძლევს დადებითი შედეგის მიღწევის იმედს".

**დღესვე ევროპის სტადიონებზე ითამაშებენ:**

**I ჯგუფი.** პორტუგალია – დანია, შვედეთი – უნგრეთი, ალბანეთი – მალტა.

**II ჯგუფი.** ლატვია – საბერძნეთი, მოლდოვა – ისრაელი, შვეიცარია – ლუქსემბურგი.

**III ჯგუფი.** სლოვენია – სლოვაკეთი, ჩრდილოეთ ირლანდია – ჩეხეთი, სან-მარინო-პოლონეთი.

**IV ჯგუფი.** ფინეთი – გერმანია, რუსეთი – უელსი, აზერბაიჯანი – ლიხტენშტეინი.

**V ჯგუფი.** ესპანეთი – სომხეთი, თურქეთი – ბელგია, ბოსნია – ესტონეთი.

**VI ჯგუფი.** ხორვატეთი – ინგლისი, ყაზახეთი – უკრაინა, ანდორა – ბელორუსია.

**VII ჯგუფი.** საფრანგეთი – სერბეთი, ლიტვა – ავსტრია, ფარერები – რუმინეთი.

**VIII ჯგუფი.** იტალია – საქართველო, ჩერნოგორია – ირლანდია.

**IX ჯგუფი.** მაკედონია – ჰოლანდია, ისლანდია – შოტლანდია.

რაგბი

# ცოტაც მოვითმინოთ



**რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRBძ გუშინ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც წამყვანი ოცეულის მდგომარეობა წინა თვის მონაგართან შედარებით უცვლელია.**

ჩვენ, ბუნებრივია, „ბორჯღალოსანთა" პერსპექტივა უფრო გვაინტერესებს. მათ გულშემატკივრებს მოგახსენებთ, რომ დაწინაურების შანსი ნოემბრამდე არ მოგვეცემა – სწორედ გიორგობისთვეშია დანიშნული მორიგი სანაკრებო ტესტ-მატჩები.

რაც შეეხება ელიტას, სამხრეთ ნახევარსფეროს უძლიერესთა უპრესტიჟულესი ტურნირის – სამი ერის თასის გათამაშების დასკვნითი ტურის შეხვედრა უახლოეს შაბათს გაიმართება და მისი შედეგი, ალბათ, რაღაცას შეცვლის კიდეც.

**მსოფლიოს საუკეთესო ოცეული სადღეისოდ ასე გამოიყურება:** ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, არგენტინა, ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, ირლანდია, შოტლანდია, იტალია, ფიჯი, სამოა, ტონგა, **საქართველო,** კანადა, იაპონია, რუმინეთი, რუსეთი, ურუგვაი, აშშ.

შემთხვევა

# იზორია გადარჩა



**პეკინის ოლიმპიადიდან სამშობლოში დაბრუნებული ფოთელი მოკრივე ნიკოლოზ იზორია ფაზისისკენ მიემგზავრებოდა, როცა ქუთაისთან ავტოავარიაში მოყვა და, ღვთის ნებით, სიკვდილს გადაურჩა.**

– თავიდან ექიმებს ფუძის მოტეხილობა ეგონათ – განაცხადა „ჯვაროსანთა" მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ, – თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ შედარებით მსუბუქი ტრავმები ჰქონია.

ამ დღეებში იზორია საავადმყოფოდან გამოეწერა და მკურნალთა ვერდიქტით, რინგს 6-7 თვის შემდეგ დაუბრუნდება.

კრიმინალი

# მარიხუანით დალუპულები

**„რუსული ფენიქსისა" და „თეთრი რუსული მთის" ფსევდონიმებით რუსეთის სახელით მოასპარეზე ოსი ძმები სოსლან და ბათრაზ ბორაძოვები მარიხუანის მოხმარებისათვის სამუდამოდ მოკვეთეს პროფესიული სუმოდან.**

პირველი დოპინგ-ტესტით მხილების შემდეგ ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ საკაიფო საშუალებებთან კავშირს და ყველაფერს ტკივილგამაყუჩებელ წამლებს აბრალებდნენ, თუმცა განმეორებითმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ ვარაუდი საფუძვლიანი იყო.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე მარიხუანის მოხმარებისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციით ძმების თანამემამულე, ვაკანოჰოდ წოდებული სოსლან გაგლოევი დასაჯეს.



უმთავრესი აღნიშნულ სკანდალში ის გახლავთ, რომ ცემა გვმართებს გამზრდელისაო არ იყოს, მეხის გავარდნისთანავე თანამდებობიდან გადადგა იაპონიის სუმოს ასოციაციის პრეზიდენტი კიტანოუმი, რომელიც ადრე ბათრაზ ბორაძოვს ავარჯიშებდა.

ინტერნეტიდან

## ზედიზედ მეხუთედ

**თითქმის ორ საათს გრძელდებოდა ჩოგბურთში ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალური მატჩი როჟე ფედერერსა და ბრიტანელ ენდი მიურეის შორის და ის შვეიცარიელის გამარჯვებით დამათავრდა – 6:2, 7:5, 6:2.**

US Open-ის ეს „ახალი" ტიტული ფედერერისთვის ზედიზედ მეხუთეა. ამით მან გაიმეორა ბილ ტილდენის მიღწევა – ის 1920 წლიდან 1925 წლამდე იმარჯვებდა ამ ტურნირში. ამავე დროს შვეიცარიელისთვის ეს მეცამეტე გამარჯვებაა „დიდი მუზარადის" სერიებში. მას მხოლოდ ერთი ტიტული აშორებს ამერიკელ პიტ სამპრასთან – მან კარიერაში 14-ჯერ გაიმარჯვა.

ამ გამარჯვებით ფედერერმა დაიბრუნა პლანეტის



პირველი ჩოგბურთელის საპატიო წოდება, რომელსაც მთელი 237 კვირა ფლობდა და მხოლოდ აგვისტოში „დაუთმო" ის ესპანელი რაფაელ ნადალს.

## „ოსკარი" დამარცხების შემდეგ

**გუშინ გაცნობეთ, რომ ჩოგბურთში ამერიკის ღია ჩემპიონატზე ქალთა შორის გაიმარჯვა ამერიკელმავე სერენა უილიამსმა, დაამარცხა რა სერბი ელენე იანკოვიჩი. თუმცა თავად დამარცხებულმა, კუთვნილი საპრიზო თანხის გარდა, მატჩის შემდეგ ყოველი ჩოგბურთელისთვის სანუკვარი „ოსკარიც" მიიღო, რაც თავად ელენეს სურვილით მოხდა. მან ჟურნალისტებს სთხოვა, მისთვის ჯილდო სწორედ ფინალის შემდეგ გადაეცათ.**

„ფინალისტის პრიზი რომ მივიღე, იცით, რა ვიფიქრე? თქვენ ხომ, ჟურნალისტები, ტელეკომენტატორები, ამბობთ, რომ ეს ჩემთვის დრამა, ტრაგედიაა. მაშინ მომეცით „ოსკარი" ამ დრამისთვის. მე ვამჯობინებ პრიზსს „საუკეთესო მსახიობი ქალი". მე ხომ მომწონს საზოგადოების წინაშე გამოსვლა, – ხუმრობით განაცხადა ელენემ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე – მე უნდა მივიღო პრიზი როლისთვის, რომელსაც ორი კვირის მანძილზე ვთამაშობდი. ვფიქრობ, დიდებულად გამომივიდა".



ამავე დროს სერბმა გამოაცხადა, რომ ის კმაყოფილია ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამოსვლით. „ბევრი პრობლემა მქონდა, კერძოდ, ბევრი ტრავმა, ბევრი შრომა დამჭირდა აქ მოსახვედრად. მეამაყება, რაც გავაკეთე!".

## პარაოლიმპური თამაშებიც დაიწყო

**როგორც ცნობილია, ყოველ ოთხ წელიწადში ჩვეულებრივი ოლიმპიური თამაშების შემდეგ იმართება პარალიმპიური თამაშებიც. ანუ ინვალიდთა და შეზღუ-**



**დული შესაძლებლობის სპორტსმენთა მიღწევების დათვალიერება. ახლა პეკინი სწორედ მას მასპინძლობს. სტადიონ „ჩიტის ბუდეზე" და სხვა სპორტულ მოედნებსა თუ აუზებში საასპარეზოდ ჩინეთში 148 ქვეყნის ოთხი ათასზე მეტი სპორტსმენი ჩავიდა.**

ამ ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი გახდა სლოვაკი ვერონიკა ვადავიჩოვა შაშხანით ტყვიის სროლაში. რუსეთელმა პონომარენკომ კი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 10 მეტრზე პისტოლეტით სროლაში.

პარალიმპიური სპორტის ტრადიციულ სახეობებთან – მძლეოსნობა, ცურვა, ძიუდო, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ეტლებით ჩოგბურთი, ცხენოსნობა და ტყვიის სროლა – ერთად გაიმართება შეჯიბრება ეტლებით ფარიკაობაში, მშვილდოსნობაში, ფრენბურთში, ადაპტირებულ აკადემიურ ნიჩბოსნობასა და სხვ. სულ 20 დისციპლინაში.

## სპორტსმენები შემოიარა

**ახლა უკვე უცხო ხილი როდია სპორტისა და შოუბიზნესის წარმომადგენელთა ურთიერთობა. მუსიკა, კინო, სპორტი, სამოდელო ბიზნესი „ერთმანეთში აირია".**



აი, თუნდაც დენი მინოუგი. ლამაზმანმა ახალ სიყვარულს მიაგნო. როგორც გაზეთი The Cun იტყობინება, დენიმ ურთიერთობა გააბა ცნობილ ახალზელანდიელ რაგბისტ, 30 წლის კრის სმიტთან, რომელსაც ცოტახნის წინათ გაეცნო იბიცესზე.

ეს პირველი სპორტსმენი როდია 36 წლის მომღერლის ცხოვრებაში. თავის დროზე ის დანიშნული იყო „ფორმულა-1"-ის ცნობილ პილოტზე, კანადელ მსოფლიო ჩემპიონ ჟაკ ვილნევზე.

როგორც ჩანს, ლამაზმანს ბოლიდების გრიალმა თავი მოაბეზრა, თანაც კანადა მწვანე კონტინენტიდან გაცილებით შორსაა, ვიდრე აყვავებული ახალი ზელანდია. საკითხავია, ასწავლის თუ არა სმიტი თავის ახალ სატრფოს ხაკუს – ახალზელანდიელი რაგბისტების ცნობილ რიტუალურ ცეკვას.

**ოკუპაცია**

# რუსები პროკლამაციებს ავრცელებენ და მაროდიორობენ

**რუსის ჯარს შია!**

რამდენიმე დღეა, სამეგრელოს რეგიონის თავზე რუსული ვერტმფრენები დაფრინავენ და პროკლამაციებს ყრიან. დეზინფორმაციის ძირითადი აზრია – ზუგდიდის მოქალაქეებო თქვენი უსაფრთხოება რუსი სამშვიდობოების ხელშია. სადაც ჩვენ ვართ, იქ მშვიდობაა“.

დაბომბვებით შეშინებულმა მოსახლეობამ გარეთ გამოსვლა და ჩამოყრილი ქაღალდების აკრეფა მხოლოდ ვერტმფრენების წასვლის შემდეგ გაბედა. პროკლამაციის ტექსტის მიხედვით, აგრესორები აქ დიდხანს დარჩენას არ აპირებენ. მაგრამ იქნებიან იმ დრომდე, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ მშვიდობას საფრთხე არ ემუქრება. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ცხინვალის მსგავსი ტრაგედია არ დატრიალდეს. შემდეგ ტექსტი ასე იკითხება – „საქართველოს რთული დღეები უდგას. სააკაშვილმა ბევრად იმაზე მეტი დაანგრია, ვიდრე ააშენა. სააკაშვილის ხელით და ქართველი სამხედროების სიცოცხლით, პრეზიდენტი ბუში საკუთარი კრიზისიდან თავის დაღწევას ცდილობს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები პანიკამ მოიცვა და უკან იხევდნენ“. შემდეგ პროკლამაცია ქართული ჯარის მაროდიორობას ეხება. რუსები ცდილობენ თავიანთი ნამოლვაწარი ჩვენი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს გადააბრალონ. მათი აზრით, თუ ობიექტური გამოძიება ჩატარდება, ბევრი ქართველის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მაროდიორობის მუხლით უნდა აღიძრას.

რუსებმა პროკლამაციებს თავიანთი და გაეროს სამშვიდობო ძალების ემბლემებიც მიაკრეს.

აგრესორების თავხედობით შეწუხებულია ადგილობრივი მოსახლეობა. ზუგდიდელი ნუგზარ ხულორდავას განმარტებით, რუსები მთელ სამეგრელოს სარანჩებივით მოედვნენ, უამრავი საგუშაგო გახსნეს. იძულებულები ვხდებით გვერდი ავუაროთ მათ. დაპირისპირებას აზრი არა აქვს. პატარა შელაპარაკებაზე იმ წუთსავე ავტომატს მოგიშვერენ, აცხადებს ჩვენი რესპონდენტი და იქვე დასძენს – პროკლამაციებს კი გვაყრიან თავზე, თქვენს მშვიდობას ვიცავთო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში დაძრწიან ქუჩებში და დაბომბვის შედეგად შეშინებული და გაქცეული მცხოვრებლების ბინებს ტეხავენ. მიაქვთ ყველაფერი – საკერავი მანქანები, ქალის საცვლები, საკერავი ნემსებიც კი...

ხულორდავა ასკვნის, რომ ოკუპანტებს ნორმალური კვება არა აქვთ. ისინი მოსახლეობას საჭმელს სთხოვენ. განსაკუთრებული მოთხოვნაა არაყზე. უარის მიღების შემთხვევაში მიჰყავთ საქონელი, ფრინველი. ბოლო დროს სალდათები ბაღებსა და ყანებსაც შეესივნენ. შედიან „კამაზებით“, „ურალებით“, განურჩევლად ტვირთავენ მწიფე და მკვახე ხილს, ყანებიდან ძირიანად მოთხრილი ფუჩეჩიანი სიმინდი გამოაქვთ.

**მოქალაქეები პოლიციელებსაც დაერივნენ**

გორის რაიონის სოფელ ახალუბანში ქართული პოლიციაა შესული და ცდილობენ მდგომარეობის გაკონტროლებასა და მოსახლეობისთვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფას. როდესაც სამართალდამცავები თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ, მოულოდნელად სოფელს მიადგა რუსის ჯარის რამდენიმე ჯავშანტრანსპორტისაგან შემდგარი კოლონა. სამხედროთა აბსოლუტური უმრავლესობა მთვრალი იყო. მათ ქართველ პოლიციელებს წაართვეს სამსახურებრივი ტრანსპორტი და ტაბელური იარაღი. მომხდარს ოფიციალურად



ადასტურებს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯულელი.

**კოკოითი მოწინააღმდეგეებს ცემს**

ძმები ვლადისლავ და ვადიმ კოზაევები ვლადიკავკაზიდან ცხინვალში აპირებდნენ ჩასვლას მოხუცი, ავადმყოფი დედის ჩასაყვანად. გზაში მათ კოკოითი და მისი გარემოცვა გადაეყარათ. თვითმარქვია პრეზიდენტი და კოზაევები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. როგორც კოზაევების ნათესავები ამბობენ, ურთიერთმოკითხვების შემდეგ კოკოითმა ძმებს ჰკითხა, თუ რა მიზნით იყვნენ ისინი ჩამოსულნი. ვლადისლავმა კითხვას კითხვითვე უპასუხა – შენ რას აკეთებ აქ. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ჯავაში, რომ გაიქეცი და ქალები, მოხუცები და ბავშვები უპატრონოდ დაყარეო...

კოკოითის დაცვამ ძმები სასტიკად სცემეს. ფიზიკურ ანგარიშსწორებაში „პრეზიდენტიც“ მონაწილეობდა. ყოველივე ეს ხდებოდა დღისით, მზისით გამვლელების თვალწინ. ცემით გული რომ იჯერეს, დაცვამ ძმები ცხინვალის საპყრობილეში მიიყვანა. კოზაევები დღესაც აქ არიან და სასჯელს ელოდებიან. ამასობაში კი გავრცელდა ხმები, რომ დაკავებულთა ყოველგვარ საარსებო სახსარს მოკლებული დედა გარდაიცვალა.

ჩვენ მოვიპოვეთ რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა კოზაევების შესახებ.

ვლადისლავ კოზაევი ყოფილი მედესანტეა. იგი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლებში სამაჩაბლოშიც ლებულობდა მონაწილეობას და აფხაზეთშიც.

ვადიმ კოზაევი რუსეთის შსს-ს ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერია.

ძმების საკნებში გამოკეტვის შემდეგ კოკოითმა საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ დაკავებულია ქართველების მიერ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეგზავნილი პროვოკატორთა ჯგუფი. გამომძიებლის განცხადებით დამნაშავეები მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

**რუსებმა „ნამესტნიკი“ დანიშნეს**

ქართველი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის (თუ გვყავს ასეთიძ უგერგილობის, უნიათობისა და უცოდინარობის გამო დაკარგულ ზემო აფხაზეთში, ოკუპანტებმა თავისი სატელიტი ხელისუფლების ჩამოყალიბება დაიწყეს. მათ პირწმინდად გაწმინდეს ხეობა ქართველებისაგან. კოდორის ხეობაში 15-მდე ქართველიღა თუ ცხოვრობს.

რუსებმა კოდორის ხეობის გამგებლის პოსტი საქართველოს პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულსა და ამჟამად „სამშობლოს ღალატის“ მუხლით ძებნილ ემზარ კვიციანს შესთავაზეს. როგორც რუსული საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, კვიციანმა შეთავაზება არ მიიღო. მაშინ აგრესორებმა „ნამესტნიკად“ ზურაბ გურჩიანი გაამწესეს. იგი 1999-2001 წლებში პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის მოადგილე იყო, 2006 წელს კი უკვე ყოფილი რწმუნებულის მხრიდან მოწყობილი სამხედრო ბუნტის დროს კვიციანთან ერთად გაიქცა. მასზე ჩვენი სამართალდამცავების მიერ ძებნაა გამოცხადებული „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბების მუხლით. გურჩიანს მოადგილედ დაუნიშნეს არაერთხელ ნასამართლევი კრიმინალური ავტორიტეტი ვინმე ბაჩო.

**ზაზა ბილიხოძე**

**სოციალური სფერო**

**ჩვენი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის არცთუ სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლებლობის ფარგლებში შემსუბუქებას მრავალი ქართული თუ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს. თქმა არ უნდა, ყველაზე მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში მრავალშვილიანი, სილარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ოჯახები იმყოფებიან და სწორედ მათზე ზრუნვით გამოირჩევა კარგად ცნობილი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.**

# შედეგებს გაისად დააჯამებენ

2006 წლიდან მოყოლებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბილისსა და რამდენიმე რეგიონში „სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგის“ პროგრამას ახორციელებს. ამ კეთილშობილურ საქმეში მხარდაჭერას მას უწევს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის ოქსფამის საქართველოში წარმომადგენლობა. ორივე ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალური სუბსიდიების სააგენტოსთან.

„სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგის“ პროექტის ფარგლებში უკვე ჩაატარეს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების კვლევა დასავლეთ საქართველოს ორ მხარეში – აჭარასა და სამეგრელოში. კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა მიღებული შედეგებისა და კონკრეტული პრობლემების განზოგადება და სხვადასხვა სახეობის პუბლიკაციების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომად გახდომა.

აჭარისა და სამეგრელოს შემდეგ პროგრამის ფარგლებში კვლევა თბილისში რამდენადმე გაშლილი ფორმატით გრძელდება. კომპლექსური კვლევის დროს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის პროექტის ავტორებმა შეაფასეს სოციალური დახმარების პროგრამის, აგრეთვე სამედიცინო დაზღვევის პოლისებისა და დედაქალაქის სოციალური სამსახურის გავლენა ამ ფენის მოსახლეობაზე.

აღსანიშნავია, რომ თბილისში განხორციელდა ორი სახის – პენალური და რაოდენობრივი – კვლევა. პენალურ კვლევაში მონაწილეობს სოციალური დახმარების მიმღები ოცდაათი ოჯახი, რომლის წევრებს ათი თვის განმავლობაში გამოკითხავენ.

პირველი კვლევა პროგრამის ფარგლებში ცოტა ხნის წინათ, ჯერ კიდევ საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის დაწყებამდე ჩატარდა და გაისად გაზაფხულამდე გაგრძელდება. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, ცხადია, აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოუცხადებელმა ომმა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა რიცხვი კიდევ უფრო მეტად გაზარდა, დახმარება კი ყველას სჭირდება, მაგრამ პროგრამაში მყისიერად ცვლილებების შეტანა ადვილად შესაძლებელი არ არის. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ბოლო დღეებში საქართველოს მოსახლეობას თავს დატეხილი უბედურების შედეგების აღმოფხვრას ასევე ხელს შეუწყობს, ფაქტობრივად, ერთობლივი „სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგის“ პროექტი.

პენალური კვლევის დროს კი, პროექტის ფარგლებში, ათი თვის მანძილზე სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების მდგომარეობის ცვლილების ანალიზი ჩატარდება.

აღსანიშნავია ასევე, რომ ივლისში დაიწყო 2200 ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სოციალურ-რაოდენობრივი მდგომარეობის გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობას 1100-1100 სოციალური დახმარების ბენეფიციარიც და არაბენეფიციარი ოჯახი იღებს.

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ სოციალური კვლევის შედეგად სამუშაო ჯგუფის წევრები შეაფასებენ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გამოიკვლევენ ბენეფიციარ თუ არაბენეფიციარ (ანუ დახმარების მიმღებსა თუ არმიმღებსძ შორის მსგავსებებსა თუ განსხვავებებს.

„სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგის“ პროექტის დასრულების შემდეგ, გაისად ჩატარებული კვლევის შედეგების განსახილველად სამუშაო შეხვედრა შედგება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური სუბსიდიების, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოებისა და, მათთან ერთად, თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ვალიკო სიმონიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა მამიდაშვილი, ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტი**
**ლევან მართაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ავტომატურად შეიცვლება თუ არა 18 წლამდე ასაკის შვილების მოქალაქეობა იმ შემთხვევაში, როცა ორივე მშობელი მოქალაქეობას იცვლის?**

**კოტე თოფურიძე**

**პასუხი:** თუ ორივე მშობელი მოქალაქეობას იცვლის, მაშინ იცვლება შვილების მოქალაქეობაც, ხოლო 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მოქალაქეობის შეცვლა უნდა მოხდეს მათთან შეთანხმებით.

* * *

**კითხვა: წარმოშობით ვარ მესტიიდან, მაგრამ ვცხოვრობ თბილისში. არ ვარ დედაქალაქში მუდმივ საცხოვრებლად ჩაწერილი. ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში. 2 თვეში მისრულდება საპენსიო ასაკი. შემიძლია, პენსიის თბილისში დანიშვნა და იმ მისამართზე მიღება, სადაც, ფაქტობრივად, ვცხოვრობ?**



**მერი სუბელიანი**

**პასუხი:** პენსიის დედაქალაქში დანიშვნის უფლება კანონის შესაბამისად იმ შემთხვევაში გექნებათ თუ მის რომელიმე რაიონში საცხოვრებლად ხართ რეგისტრირებული. ჩაწერა-ამოწერის ინსტიტუტი, 1998 წლიდან გაუქმებულია. ამდენად, ის გარემოება, რომ თბილისში მუდმივ საცხოვრებლად არ ხართ ჩაწერილი, პენსიის დანიშვნაში ხელს არ შეგიშლით.

* * *

**კითხვა: ვარ მძიმე ავადმყოფი, 38 წლის. არ მინდოდა პენსიონერის სახელი, ამიტომ აქამდე ჯგუფის დასადგენად სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს არ მივმართე.: ახლა მითხრეს, ეს კომისიები გაუქმდაო. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ ჯგუფი დავიდგინო და ინვალიდობის პენსია დავინიშნო?**

**მერაბ მოწონელიძე**

**პასუხი:** აღნიშნულ საკითხზე უნდა მიმართოთ უბნის პოლიკლინიკას, სადაც საფუძვლიანად გამოიკვლევენ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და კვალიფიციური ექიმები იმსჯელებენ თქვენთვის შრომისუნარის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის საკითხზე. თუ განგესაზღვრებათ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატულ სტატუსი, მოიპოვებთ ინვალიდობის პენსიის მიღების უფლებას.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ინფორმაცია**

# რუსები ითვლიან, რა ზარალი მოგვაყენეს

**რუსეთის შეფასებით, საქართველომ ომის შედეგად 1 მლრდ აშშ დოლარი იზარალა. ამის შესახებ, რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა.**

საქართველოს ომის პერიოდში მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიადგა. მკაცრი ადმინისტრაციული ზომების მიუხედავად, საქართველოს საბანკო სისტემამ დაკარგა დეპოზიტების დაახლოებით 13%, ხოლო სავალუტო რეზერვები შემცირდა 6,5%-ით – 1,25 მლრდ აშშ დოლარამდე, – განაცხადა მან.

ნესტერენკოს ინფორმაციით, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიას. სხვადასხვა შეფასებებით, საქართველო სასწრაფოდ დატოვა, ან ქვეყანაში ჩასვლაზე უარი თქვა 100 000 ადამიანზე მეტმა, – დასძინა საგარეო უწყების წარმომადგენელმა.

მისივე განცხადებით, ავია-საზღვაო და ავიაგადაზიდვებზე შეზღუდვებმა ამ სექტორის კატასტროფული მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.



რუსეთის შეფასებები თითქმის დაემთხვა ოფიციალური თბილისის მონაცემებს. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, პირდაპირი ზარალი რუსეთთან კონფლიქტის შედეგად 1 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს.

**ინტერპრესნიუსი**

**2008 წლის 1 ოქტომბერს 12 საათზე შედგება სს ბ/ც „აგრომონტაჟის“ აქციონერთა კრება მისამართზე თბილისი თამარაშვილის ქ. 15ა.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების 2007 წლის საფინანსო-ეკონომიური შედეგების განხილვა-დამტკიცება;
2. საზოგადოების დირექტორის ანგარიში 2007 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. საზოგადოების 2008 წლის ბიზნეს-გეგმის განხილვა-დამტკიცება;
4. საზოგადოების 2008 წლის 6 თვის შედეგების განხილვა-დამტკიცება.

**დირექცია**

**განცხადება**

**2008 წლის 30 სექტემბერს დღის 10 საათზე დანიშნულია სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**მისამართი: გორგასლის 40.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს-ის აქციონერებს გთხოვთ, კრებაზე დასასწრებად წარმოადგინოთ „ამონაწერი რეესტრიდან“, რისთვისაც მიმართეთ დამოუკიდებელ რეგისტრატორს შპს „ეროვნული რეესტრი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, მე-6 სართული.

**დირექცია**

**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

**სამართალი ქართულად**

# გამსახურდიას ადვოკატების საჩივარი არ მიიღეს

**სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატების საჩივარი დაუშვებლად ცნო. ამის შესახებ განსასჯელის ადვოკატი ქეთი ბექაური იტყობინება.**



ბექაურის თქმით, დაცვის მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამსახურდიასთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ, მეორე ინსტანციაში გაასაჩივრა. თუმცა 8 სექტემბერს მიღებული პასუხით ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ადვოკატის განცხადებით, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა ცოტნე გამსახურდიამ პროტესტის ნიშნად 4 სექტემბრიდან შიმშილობა გამოაცხადა. იგი საქმის ობიექტურ გამოძიებასა და პროცესების საჯაროობას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ცოტნე გამსახურდიას წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ლიცენზირებული

**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის ბაკალავრის და მაგისტრატურის I კურსზე და II, III, IV კურსებზე გადმოყვანის წესით ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:**



**ბაკალავრიატი**

1. ინგლისური ენა და ლიტერატურა (ინგლისური ენის მასწავლებელი, მთარგმნელი), 2. გერმანული ენა და ლიტერატურა (გერმანული ენის მასწავლებელი, მთარგმნელი), 3. ფსიქოლოგია (ფსიქოლოგი), 4. სამართალმცოდნეობა (იურისტი), 5. ჟურნალისტიკა (ჟურნალისტი, ტელეხედვის რეჟისორი), 6. ინფორმაციული ტექნოლოგიები პროგრამისტი), 7. დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება (ტანსაცმლის მოდელიორ-კონსტრუქტორი), 8. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე (ფინანსისტი), 9. საბაჟო საქმე (საგადასახადო-საბაჟო საქმის მენეჯერი, მებაჟე), 10. საბუღალტრო და საგადასახადო საქმე (აუდიტი), 11. ვაჭრობის ეკონომიკა (ეკონომისტი), 12. პედაგოგიკა (დაწყებითი განათლება), 13. ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნებათმცოდნე), 14. ტურიზმის მენეჯმენტი.

**მაგისტრატურა**

1.ინგლისური (გერმანული) ენის მასწავლებელი, მთარგმნელი, 2. მათემატიკის მასწავლებელი და მეთოდისტი, 3. ქართულის მასწავლებელი და მეთოდისტი, 4. სამართალმცოდნეობა. ა) სამოქალაქო სამართალი; ბ) სისხლის სამართალი. 5. საბანკო საქმე – ფინანსისტი, 6. ფსიქოლოგია (ფსიქოლოგი), 7. საბუღალტრო აღრიცხვა (აუდიტი).

სასწავლო პროცესს წარმართავს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე 11 სრული პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედპუნქტი, ავტოსკოლა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. გამოდის გაზეთი „ილიას გზით“.

**უნივერსიტეტის რექტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი.**

**ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით. საბუთების მიღება იწყება განცხადების გამოქვეყნებისთანავე, მობრძანდით შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47, აბლაძის ქ. №37, IV სართული, ტელ: 93-66-03; 99-07-24, 899-18-89-24, 99-62-71, 35-54-30.**

**სრული ინფორმაციისათვის მობრძანდით ადგილზე.**

**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, 30-ე დღეს განმეორებით ვაქვეყნებთ 2008 წლის 8 აგვისტოს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას: „შერწყმულ იქნეს სს „ჩხოროწყუჰესი“ შპს „ზაჰესი 06“-თან.**

**კადრი**



**ანეკდოტები**

ქალს ღამით კოშმარი ესიზმრება, იგი ხმამაღლა ყვირის და ქმარს აღვიძებს.

– რა დაგემართა, საყვარელო? – ეკითხება იგი.

– დამესიზმრა, თითქოს კაციჭამიები მომდევდნენ, წინ უფსკრული იყო. სხვა გზა არ მქონდა და გადავხტი... საბედნიეროდ, კლდიდან გამოშვერილი ტოტი დავინახე და ჩავეჭიდე... მერე კიდეც გამეღვიძა.



– ხომ ხედავ, რომ გადარჩი. ასე რომ, შეგიძლია ტოტს ხელი გაუშვა.

* * *

როდესაც პატარა მიშიკო სააკაშვილი სკოლაში დაგვიანებისა თუ საშინაო დავალების შეუსრულებლობის მიზეზებს ხსნიდა, მის მოსასმენად მთელი სკოლა იკრიბებოდა.

* * *

– გუშინ მკითხავთან ვიყავი, მან მითხრა, რომ მივლინებაში არ უნდა წავხვიდე.

– რაო, იქ ცუდად გავხდები.

– პირიქით, ძალიან კარგად იქნები...

* * *

– რა აქვთ ქალებს თვეში ერთხელ, რაც 4-5 დღეში თავდება?

– ქმრის ხელფასი.

* * *

თანასწორობა – ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც „მერსედესისა“ და „ზაპოროჟეცის“ მძღოლები გვერდიგვერდ დგანან უიმედო საცობში და ერთნაირად გაბითურებულად გრძნობენ თავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.